№ 2751
სამშაბათი,
22 თებერვალი

ცნობის ფურცელი

22 თებერვალი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ჯიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ილია და მიხეილ თომას ძენი ჯაიანები, ამათი მეუღლენი ანასტასია ბარძიმის ასული და ანნა ნიკოლოოზის ასული შვილებითურთ, ბარბარე დავითის ასული და ანდრია პავლეს ძე დავითაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველნი საყვარელ დედისას, მეორენი დედამთილისას და ბებიისას, უკანასკნელნი დისა და ცოლის დისას

თამარ დავითის ასულის ჯაიანისას

პანაშვიდები ყოველ დღე დღის 12-სა და საღამოს 7 საათზე ტფილისის გრენადერთა პოლკის პოდპოლკოვნიკ ჯაიანის ბინაზე, ავლაბარში, შემახის ქუჩაზე № 31.

გამოსვენება ხუთშაბათს 24 თებერვალს დილის $9\frac{1}{2}$ საათზე ავლაბრის ფერისცვალების მონასტერში.

მნაცაკან არტემის ძე კოხტიევი, წყალობ ბაგდანის ძე არუთინოვი მეუღლით, ნატალია ბაგდანის ასული აგზამანოვისა, ევგენია ბაგდანის ასული ხერუმოვისა და სოფიო არტემის ასული ტერ-სტეფანოვისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, 21 თებერვალს დილის $6\frac{1}{2}$ საათზე, პირველი მეუღლისა, მეორენი—საყვარელის დისა და უკანასკნელი—მამიდის

ნინო ბაგდანის ასულის კოხტიევისას.

დაკრძალვისა და პანაშვიდის დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული. (1—57—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა ხუთშაბათს, 24 თებერვალს, 1905 წ. აბონიმენტის გარეშე, ბენეფისი კ. **მესხისა** ვ. **მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება პირველად ცნობილი პიესა

დრამა 5 მოქმ. **რუი-ბლაზი** თარ. პ. ყიფიანის და კ. მესხისა

მონაწილეობას მიიღებენ: ბ-ნნი ვლ. მესხიშვილი, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, შალიკაშვილი და სხ. ქ-ნნი გაბუნია, ნ. ჩხეიძე, მესხი, ჯავახიშვილი და სხ. რეჟისორი **კ. მესხი.**

დიდი ვაჭრობა

კავკასიის **პირველი ამხანაგობა დამზადებულ ტანისამოსის** ძმ. აკოფჯანოვებისა და სარქისიანცისა. ნიკოლოოზის ხიდი, სახლი ქამოევისა № 25-30.

რადგან დიდ-ძალი საქონელი შეიკრიბა—კაცთა, ქალთა და ბავშვთა დამზადებული ტანისამოსი,—ჩვენ გადავწყვიტეთ დავნიშნოთ სულ **იაფი ვაჭრობა** 20 დღით 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე. ფასები ქარხნისაზე ნაკლებია. ფასებში ულაპარაკოდ. (150—20)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
სამშაბათს, 22 თებერვალს, 1905 წელს რეჟისორი გეცევიჩის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება: „**ნერონი**“, ოპერა 4 მოქ., მუსიკა რიბინშტეინისა. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: შიხუტსკაია, ტომკევიჩი, ტულლერი, ბუნაკოვა და სხ. ბ-ნნი: დონსკოი, პოლუიანოვი სპერანსკი, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი იერენვალდი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე
23 თებერვალს—პორუბინოვსკისა

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
ს. ზ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9\frac{1}{2}$—$10\frac{1}{2}$ ს.
ნ. ტ. მუღნინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ნ. ა. ხიდიკანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალი მ. ქ. [illegible].—ქალისა და სა[illegible], ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ძ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათ.
ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სიავადმყოფოს აქვს ორი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. ბოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № [illegible] აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—22)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. თავსაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. ზ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში, კომერციული ბანკის სახლი. (60—408—17)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—48)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
20 თებერვალი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინის დეპეშები მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე: 1. ამა წლის 19 თებერვლის თარიღით: „მუკდენიდან დასავლეთით ფრონტზე ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. გუშინ ჩვენი რაზმი, მუკდენ-სინმინტინის გზაზე, დაშიჩაოს ჩრდილოეთ-დასავლეთით, 5 ვერსტის მანძილზე, შეხვდა მტერს, რომელიც დასავლეთიდან მოდიოდა. რაზმი შეებრძოლა მტერს. ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთიდან მოხსენება არ მომსვლია. დილიდან მოისმის არტილერიის სროლა სოფ. სუხუდაპოს მხრიდან. ცენტრის პოზიციების წინ სიჩუმეა; მხოლოდ სახეპუსთან, საღამოთი, იაპონელებმა რამდენჯერმე გამოილაშქრეს, მოვიდნენ კიდეც ჩვენი სიმაგრეების მავთულის ღობეებთან და ესროლეს ხელის ყუმბარები, მაგრამ ჩქარა უკუაგდეს ისე, რომ ღობეებისთვის ზიანი არ მოუტანიათ. კანდოლისანთან მყოფ პოზიციის მარჯვენა ფრთაზე საღამოთი და ღამით იაპონელებს განუწყვეტლივ მოჰქონდათ იერიში. უკანასკნელი, მეათე იერიში ღამის 4 საათზე მოვიგერიეთ. ჩვენს რედუტებთან მთელი გროვაა დახოცილ იაპონელებისა. გუშინ, ნაშუადღევიდან მტერმა შესწყვიტა იერიშის მოტანა გაოტულინის პოზიციაზე, მაგრამ საღამოთი განახლებას ველოდით. ჩვენის ჯარების მარცხენა ფრთაზე მყოფმა რაზმებმა შესწყვიტეს ბრძოლა გუშინ საღამოს; ამასთან კუდიაზის პირდაპირ პოზიციებთან შეამჩნიეს მტრის ნაწილის უკან დახევა. გუშინდელს ბრძოლაში დაიჭრა გენ.-მაიორი შატილოვი და საგენერალო შტაბის პოლკოვნიკი გურკო. ზემოთ მოყვანილს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.—2. იმავე თარიღით: „დღეს მოდარაჯე რაზმები მტრისა, რომელიც ჩვენ მარჯვენა ფრთას უვლის, შემჩნეულ იქმნენ მუკდენ-სინმინტინზე მიმავალ გზასა და მდინარე ხუნხეს შორის, რკინის გზის სადგურ მუკდენიდან 8 ვერსტის მანძილზე. ამა რიცხვს, გათენებისას იაპონელებმა აიღეს სოფ. სუხუდაპუ. სუხუდაპუს იქით კი არ უცდიათ წასვლა. შეუპოვარ ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა სოფ. ლანშაპუც აიღეს. დღეს, დილის 5 საათზე იაპონელებმა გამოილაშქრეს სახეპუსთან მყოფ პოზიციისაკენ, მაგრამ შეჩერებულ იქნენ და უკუგდებულ მოწინავე რაზმების სროლით. გუშინ საღამოს 11 საათზე და ღამის პირველზე იაპონელებმა იერიში მოიტანეს პუტილოვის გორაკზე, მაგრამ ორივე იერიში მოვიგერიეთ სროლით. კანდოლისანის მიდამოს პოზიციაზე მტერს გათენებამდე მოჰქონდა საშინელი იერიშები. დილის 8 ს. უკუგდებულ იქმნა უკანასკნელი მეცამეტე იერიში; იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. დღით იერიში აღარ მოუტანიათ. გაოტულინის პოზიციაზე გუშინ, ღამის ასე ორ საათზე, მოიტანეს ორი იერიში, მაგრამ ორივე მოვიგერიეთ. ჩვენს პოლკი მარცხენა ფრთაზე დღემ და ღამემ, შედარებით, წყნარად ჩაიარა. კუდიაზცისთან მყოფმა რაზმმა ღამით კერძო იერიში მიიტანა. ზემოდ ჩამოთვლილს უქვეშევრდომილესად მოვახსენებთ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.

ჰელსინგფორსი, 20 თებერვალი. მანჯურიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა მომვლელი ფინლიანდიის საზოგადოების ლაზარეთი უკან გაიწვიეს.

მოსკოვი, 20 თებერვალი. იმედი აქვთ, ხვალ მოსკოვ-ყაზანის რკინის გზაზე საქონლის მატარებლების წესიერი მიმოსვლა განახლდება.

უმანი, 20 თებერვალი. უმანის ებრაელთა საზოგადოებამ გაუგზავნა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს დეპეშა [illegible], გაუთანასწორონ ებრაელები რუსეთის მკვიდრ მცხოვრებლებს უფლებებით.

ბელგრადი. მეფის [illegible] სეკრეტრის საქმეს არჩევენ. ამ სეკრეტრს, გვარად ბალუგჯიჩს, ბრალს სდებენ, პაშიჩს ცილი დასწამა და მოღალატე დაუძახაო და ცილი დასწამა აგრეთვე საფინანსო მინისტრს, პაჩუს—რაღაც ბნელით მოცულ საქმეებს აკეთებსო. ბალუგჯიჩის სიტყვით, პაშიჩს უნდოდა თავი დაეხსნა ზარბაზნების შედარებითი გამოცდისათვის, რათა შესაძლებოდა აეღო ზარბაზნები იქ, სადაც ის იშოვნიდა სამს მილიონს ფრანკს სესხათ. წილი ამ ფულებისა მას უნდოდა მიერთმია საჩუქრად მეფისთვის. [illegible] ხმის უმეტესობის საშოვნელად მას [illegible] მეტი ნაწილი დეპუტატთა. პაშიჩის ბრალდება კი დიდი ხნის საქმე ყოფილა: 1885 წ. პაშიჩს მიუმართავს ბოლგარელებისთვის დახმარებისათვის, რათა შესულიყო [illegible] მაკედონიაში შესვლა; ამ წელსვე პაშიჩი სწერდა სლავიანთა საზოგადოების სეკრეტარს არისტოვს პეტერბურგში, რომ თუ ობრენოვიჩი ტახტზე დარჩა, ბოლგარეთს მაკედონია დაეკარგებაო. ეხლა-კი პაშიჩმა წაიყვანა მეფე სოფიაში, დაამცირა სერბია და ხელშეკრულება გააკეთა ბოლგარიასთან, რომლის ძალით სერბიელთა ინტერესები ბოლგარელებისას დაუქვემდებარა. პაშიჩმა განუცხადა მინისტრთა საბჭოს, რომ სერბიამ, ყოველგვარ მოლაპარაკების დროს, ბოლგარელებიც იყოლიონ სახეშიო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
20 თებერვალი

მუკდენი, 20 თებერვალი. იაპონელებს დილიდან მედგარი იერიში მოაქვთ სოფ. მადიაპუსთან მდ. ხუნხეზე. რუსებმა მოიგერიეს ეს იერიში. ორსავე მხრის დიდი ზარალი მოსდის. მარცხენა ფრთაზე და ცენტრში იაპონელები განაგრძობენ იერიშის მიტანას, მაგრამ ვერას ხდებიან. პუტილოვის გორის მარცხნით ჩვენმა მოწინავე რაზმმა ორი ტყვიის მტყორცნელი ჩაიგდო ხელში.

სახალინი, 20 თებერვალი. სახალინზე სიწყნარეა. რეიდზე გამდგარი ყინულია. იაპონელების მოსვლა კუნძულზე ამ ჟამად შეუძლებელია. სახელმწიფო მოსამსახურეთა ოჯახებს ხმელეთზე ისტუმრებენ. გზა მშვენიერია.

ტოკიო, 20 თებერვალი (რეიტერი). ცინხეჩენიდან განდევნილი რუსები დალინის უღელტეხილზე გადავიდნენ და ოთხ დღეს უწევდნენ წინააღმდეგობას იაპონელთა წინსვლას. რუსებს 30 ათას კაცზე მეტი მაშველი ჯარი მოუვიდათ, მაგრამ, როგორც ეტყობა, უკან დახევას აპირობენ. იაპონელები მონგოლისაკენ სდევნიან რუსებს. იაპონელებმა მიისვლა დაიწყეს ბენსიუხთან. ჰფიქრობენ, მალე დიდი ბრძოლა მოხდებაო.

რომი, 19 თებერვალი. სამინისტრომ სამსახურიდან გადადგომის თხოვნა წარუდგინა მეფეს. მეფემ გადასდვა გადაწყვეტილების დადგენა. სამინისტრო დროებით დარჩება.

სტამბოლი, 20 თებერვალი. პატრიარქატი ოპოზიციონერ იერარქიებთან მორიგებას ეცადა, მაგრამ მეცადინეობა მარცხით დასრულდა, რადგან იერარქებმა უსაბუთო მოთხოვნანი წარუდგინეს და პატრიარქატის საბჭომ ერთხმად უარ-ჰყო ეს მოთხოვნანი.

ლონდონი, 20 თებერვალი. გუშინ კიპროსის კუნძულზე დიმასსოლში მოვიდა ჰერცოგი კონსტანტინე, ბერძნებმა გარდასცეს ჰერცოგს მემორანდუმი; შუამდგომლობენ საბერძნეთთან შეერთებაზე. გაზეთ „ობსერვერი“-ს სიტყვით, ქაიროში დაარსებულა პატრიოტული ლიგა, რომლის დევიზია: „არაბეთი—არაბებს“. ლიგას აზრათ აქვს ებრძოლოს, რომ გერმანიამ არ იგდოს ხელში მცირე აზია. ლიგა მიჰმართავს ევროპასა და ამერიკას და ამბობს, რომ მას მიზნათ აქვს გამოაცალკევოს არაბეთი ოსმალეთის სახელმწიფოდან და შემოიღოს დამოუკიდებელი კონსტიტუციონური მართვა-გამგეობა; ახალ სახელმწიფოს საზღვრები იქნება, ტიგრი და ევფრატი, სპარსეთის ყურე, ხმელთაშუა ზღვა და სუეცი. ლიგას სურს სულ ნაწ არაბეთის შეიხს მოუწოდოს. მექა და მედინა ცალკე სასულიერო სახელმწიფოს შეადგენენ. პალესტინას ავტონომია მიეცემა და მისი მართვა საერთაშორისო კომისიას მიენდობა. უცხოელებს ისეთივე უფლებები მიენიჭებათ, როგორც ოსმალებს. ლიგას არ უნდა უცხოელების დახმარება, მხოლოდ იმედოვნებს, რომ სახელმწიფოები, როცა დრო მოვა, წინ არ აღუდგებიან არაბთა დამოუკიდებლობას.

პარიზი. მთავრობა სრულიად დაეთანხმა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ეკლესიების გარდაქცევების შესახები საკითხის გადაწყვეტა. ამ ამბავს პოლიტიკური წრეები და პრესსა შეხვდა [illegible] ნიშანს რეფორმების განხორციელებისას არჩევნამდე. მოვიდა მანჯურიიდან დაბრუნებული, თავში დაჭრილი, თავადი არსენ კარაგეორგიევიჩი, სერბიის მეფის ძმა.

ხარკოვი. 19 თებერვალმა მშვიდობიანად ჩაიარა, მიუხედავათ იმისა, რომ საშინელი ხმები დადიოდა, უცხოელებს და სტუდენტებს უნდ სცემონო.

ომსკი. გლეხების განთავისუფლება იდღესასწაულეს იმით, რომ გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი რკინის გზის სახელოსნოებში. ეს პარაკლისი მუშებმა გადაახდევინეს შემოკლებულ სამუშაო დროს შემოღების გამო.

ნოვოჩერკასკი. 19 თებერვალმა მშვიდობიანათ ჩაიარა.

კიევი. სტამბებში განაახლეს მუშაობა. გაზეთები უქებენ უმაღლესს რესკრიპტს, როგორც ფრიად შესანიშნავს მოვლენას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ერივანი. მაჰმადიანთა და სომეხთა შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია რამდენიმე კაცი.

კურსკი. გუბერნატორი უცხადებს კურსკის საზოგადოებას, რომელიც აღელვა 12 თებერვლის ამბებმა, რომ სასტიკი გამოძიება სწარმოებს, ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის თანდასწრებით, პოლიციელების მოქმედებაზე; პოლიციელები უმეტესად ქცეოდნენ თურმე მოსწავლეებს. 17 მოსწავლეა დაშავებული. 5 კაცი შეამოწმეს. სამს არაფერი არ აქვს დაშავებული, ერთს თვალის ქუთუთო აქვს დალილავებული, მეორეს ჭრილობა აქვს იდაყვთან; დანარჩენები კი წასულან ქალაქიდან და ამიტომ მათი შემოწმება შეუძლებელია. პოლიციის მოქმედებას მიუდგომლად დააფასებენ. გამოძიებას დაწვრილებით გამოაქვეყნებენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდი ბრძოლა მუკდენთან. 18 და 19 თებერვალს ბევრი დიდი ამბავი მომხდარა ბრძოლის ველზე მუკდენთან. გენ. კუროკის განაპირა მარცხენა ფრთამ 11 თებერვალს ცინხეჩენი აიღო, დალინის ქედზე უღელტეხილები დაიჭირა, ფუშუნის გზით ჩრდილოეთისაკენ გაემართა და სოფ. კუდიაზამდე და ტამაგუშანამდე მიაღწია. 12 თებერვალს კუროკის მარჯვენა ფრთამაც გაილაშქრა წინ ბანეპუზა-ფუშუნის გზით, უანფულინის უღელტეხილი, სოფ. ტანგოუ და გაოტულინის უღელტეხილის აღმოსავლეთით ადგილები დაიჭირა. თითონ გაოტულინის პოზიციების აღებასაც მედგრად ცდილობს. მაგრამ, როგორც გენ. კუროპატკინი იუწყება, იაპონელებს 19 თებერვლამდე მხოლოდ გაოტულინის წინა სიმაგრე აუღიათ. რუსულ ცნობებიდან ისე გამოდის, ვითომ იაპონელები სოფ. კუდიაზასთანაც ვეღარ წასულან წინ. სამაგიეროდ რუსულ ცნობებიდანაც სჩანს, რომ გენ. კუროკის მარჯვენა ფრთას გაოტულინის აღმოსავლეთით საკმაოდ წინ წაუწევია და მარცხენა ფრთის პოზიციებში სოლივით შეჭრილა. „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი ჯერ კიდევ 15 თებერვალს იუწყებოდა: იაპონელებმა მარცხენა ფრთის პირდაპირ რამდენიმე ვერსტი წაიწიეს წინ და რუსის პოზიციებში სოლივით შეიჭრნენო. მაინც ასეა. წინად სოფ. იანსიტუნიდან ვიდრე გაოტულინამდე მდ. შახეს პირად პოზიციები სულ რუსის მარცხენა ფრთას ეჭირა, ეხლა-კი ხსენებული პოზიციები სულ გენ. კუროკის დაუჭერია, მდ. შახეს გაღმა გასულა, კანდოლისანისა და ერდაგოუს პოზიციებზე მიაქვს იერიში და იმათ აღებას ცდილობს. კანდოლისანი შახეს მარჯვენა მხარესაა იანსინტუნიდან 8 ვერსტზე, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და გაოტულინიდან 12 ვერსტზე, დასავლეთით. ერდაგოუს პოზიციები ხომ უფრო შორს არის: კანდოლისანიდან 11 ვერსტზე, დასავლეთით და პუტილოვის გორიდან 7 ვერსტზე, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. აქედან სჩანს, რომ გენ. კუროკის მარჯვენა ფრთა სოლივით შეჭრილა რუსის პოზიციებში და თუ კანდოლისანსა და ერდაგოუს აიღებს, რუსის არმიის ცენტრს უკანიდან მოექცევა და მარცხენა ფრთას შუაზე გასწყვეტს. ამიტომაცაა, რომ იაპონელები ასე ძლიერა ცდილობენ კანდოლისანის აღებას; გენ. კუროპატკინი იუწყება, მტერმა ცამეტჯერ მოიტანა იერიში კანდოლისანზე, მაგრამ ყველა იერიში მოვიგერიეთო. საყურადღებოა, რომ გენ. კუროპატკინი რამდენსამე დღეს იხსენიებდა სოფ. უბენპუზას პოზიციებს, უკანასკნელ დეპეშებში-კი აღარას ამბობს ამ პოზიციებზე.

ცენტრში არავითარი ცვლილება [illegible] მხდარაო, სწერენ რუსის კორესპონდენტები. იაპონელებმა აქაც ბევრჯელ მი[illegible] იერიში, მაგრამ ყველა [illegible] იერიში მოვიგერი[illegible] 19 თებერვალს იაპონელებს [illegible] სახეპუზე (რკინის გზის აღმოსავლეთით) მიუტანიათ [illegible]ში, ეკლიან მავთულის ღობემდე მისულან, ხელით სასროლი ყუმბარებიც დაუშენიათ რუსის პოზიციისათვის, მაგრამ, როგორც გენ. კუროპატკინი იუწყება, რუსებს ეს იერიშიც მოუგერებიათ. ცენტრში იაპონელები დღემდე საალყე ზარბაზნებს უშენენ რუსის სიმაგრეებს და იმათ დანგრევას სცდილობენ.

ყველაზე საყურადღებო ამბები კი 18, 19 და 20 თებერვალს რკინის გზის დასავლეთით, მდ. ხუნხეს ნაპირებზე და მუკდენის დასავლეთით ხდებოდა. აქ გენ. ოკუს და გენ. ნოგის არმიები მოქმედებენ.

გენ. ოკუს არმიის მარცხენა ფრთამ 16 თებერვალს სანდეპუდან წინ გაილაშქრა და მდ. ხუნხეს ნაპირას, სოფ. ჩანტანი, ჩანტან-ხენანი, ბეიტაიზა და სხვები აიღო და მდ. ხუნხეს ნაპირ-ნაპირ ჩრდილოეთისაკენ გაემართა. 19 თებერვალს გათენებისას ხანს სოფ. სუხუძიაპუ აიღო, კიდევ წინ წაიწია და 20 თებერვალს დილით სოფ. მადიაპუსთან, მუკდენიდან 15 ვერსტის მანძილზე მდ. ხუნხეს ნაპირას შეებრძოლა რუსებს... ამ ადგილას მდ. ხუნხეზე რკინის ხიდია გადებული. ამავე დროს გენ. ოკუს მარჯვენა ფრთამ გაილაშქრა წინ და სოფ. ლანშანპუ აიღო და იმის წინ პოზიციები დაიჭირა.

გენ. ოკუს არმიის მარცხნივ, როგორც იუწყებიან, გენ. ნოგის არმია მოქმედებს. ნოგის არმიამ 16 თებერვალს სინმინტინი და დამინტუნი დაიჭირა, სინმინტინში სურსათი ჩაიგდო ხელში და ორ რაზმად მუკდენისაკენ გაემართა: ერთი რაზმი 17 თებერვალსვე სოფ. სალინპუსთან მისულა, მუკდენიდან 18 ვერსტზე, მეორე რაზმი სინმინტინ-მუკდენის გზით სოფ. ტაშიჩაომდე მისულა. გენ. კუროპატკინს დიდი ჯარი დაუხვედრებია გენ. ნოგის არმიისათვის, მაგრამ მაინც, ეტყობა, იაპონელები წინ წასულან. იაპონელთა მოდარაჯე რაზმები 19 თებერვალს 8 ვერსტზე მიუახლოვდნენ მუკდენის რკინის გზის სადგურს... სამწუხაროდ, დეპეშებს მეტად ცოტა ცნობა მოაქვთ გენ. ნოგისა და გენ. ოკუს არმიის მოქმედებაზე...

დეპეშებიდან სჩანს, რომ მთელ ფრონტზე მედგარი ბრძოლაა თითქმის დღე და ღამ და გაძლიერებული ზარბაზნის სროლაა...

მთავრობის განკარგულება

„კავკაზ“-ში დაბეჭდილია:

კვირას, 20 თებერვალს, დილით, მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილმა დაარღვია წესიერება გოლოვინის პროსპექტზე. ქვაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდის შემდეგ, რომელიც გადახდილ იქმნა ბაქოში მოკლულთა სულის მოსახსენებლად, მოსწავლეთა ჯგუფი ყვირილით გოლოვინის პროსპექტით გაემართა. პოლიცია ურჩევდა დაშლილიყვნენ, მაგრამ მოსწავლენი თავისას არ იშლიდნენ და დემონსტრატიულად შუა ქუჩაში მიდიოდნენ. დაიშალნენ მხოლოდ ყაზახ-რუსების მოახლოვებისას. თუმცა ასე აშკარად დაირღვა წეს-რიგი, მაგრამ მე, რადგან ბრბო მცირე-წლოვანთაგან შესდგებოდა, პოლიციას ვუბრძანე შეკრებილნი დარიგებით დაეშალა და ძალა არ ეხმარა. პოლიციამ ჩემი ბრძანება სავსებით შეასრულა.

რათა შემდეგში არ განმეორდეს ასეთი ამბავი, ზნეობრივ მოვალეობად ვთვლი მივმართო მოსწავლეთა მშობლებს და ვთხოვო დაარიგონ თავიანთი შვილები, რომ უწესოებებში მონაწილეობა არ მიიღონ. დარწმუნებული ვარ, მოსწავლენი შეიგნებენ მშობელთა დარიგებას. ამიერიდან ასეთ ბრბოების გასაფანტავად პოლიცია კანონში აღნიშნულ ზომებს მიჰმართავს

ტფილისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი **სვეჩინი**.

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **სახელოსნოს მუშები** მოელიან, რომ რკინის გზათა მთავარი გამგეობა მალე დააკმაყოფილებს მათ თხოვნებს. ჩვენს გაზეთში უკვე აღნიშნული იყო მუშათა მოთხოვნილებანი. მუშები, სხვათა შორის, თხოულობენ, რომ ის მუშები, რომელნიც დაჭერილნი არიან, გამოუშვან და თავიანთი ადგილები მისცენ. რკინის გზის უფროსი დაჰპირდა, ვეცდები, რომ გამოუშვან და ადგილებიც მისცენო.

◆ როგორც **ბათუმიდან გვატყობინებენ**, სრულიად შესწყდა გემების დატვირთვა-გადატვირთვა. ეს ორი დღეა არც როტშილდის ქარხანა მუშაობს.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის წინაშე, რომ **სახელმწიფო** სანერგეებიდან შეღავათიანის პირობით დაეთმოს გლეხობას **ამერიკულ ვაზის ნერგი**.

◆ 20 თებერვალს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში სომეხ მოსწავლეთა მეთაურობით გადახდილ იქნა პანაშვიდი **ბაქო'ში დაღუპულთა სულის მოსახსენებლად**. დაესწრო დიდძალი ხალხი და წარმოითქვა მრავალი სიტყვა.

◆ „ნ. ო.“-ში დაბეჭდილია ორი დეპეშა, ერევნიდან მიღებული. ერთში ნათქვამია: „დღეს, 20 თებერვალს, დილით, ბაზარში **თათართა ბრბომ სროლა დაუწყო სომხებს**. ყველა, ვისაც კი შეეძლო, გაიქცა. რამდენიმე სომეხი მოჰკლეს და დასჭრეს. ჯარი და ყაზახები ხალხს ამშვიდებენ. არ ვიცით, რა იქნება შემდეგ“. მეორე დეპეშა: „ქალაქში მშვიდობიანობაა. გუბერნატორის, სამღვდელოებისა და თათრის ინტელიგენციის წყალობით მაჰმადიანნი დაწყნარდნენ. მოკლული სამია, დაჭრილი რვა. არავინ იცის, რომ გამოიწვია უდანაშაულოთა სისხლის დღვრა. ეშინიანთ ხვალინდელ დღისა. ქუჩებში დადიან რაზ[illegible]ახ-რუსები“.

◆ [illegible]გან საქმეთა მინისტრმა ტფილისის [illegible]ნატორს გამოუგზავნა [illegible] [illegible]ათა, [illegible]ერთო დამხმარებელ სა[illegible] და სხვ. და დაავალა იხელ[illegible]მ პროექტით, როცა საზოგა[illegible]სდებიან და დასამტკიცებლად წესდებას გუბერნატორს წარუდგენენ. ამიერიდან საზოგადოებებს არ დასჭირდებათ წესდებას დასამტკიცებლად სამინისტროს მიჰმართონ.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზამ** შუამდგომლობა აღძრა გზათა სამინისტროს წინაშე, გადაიდოს 50 ათასი მან. მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად ბევრ მუშაობისათვის ბაქოსა, ყარსისა და ბათუმის შტოებზე თოვლისა და ქარ-ბუქის დროს.

გაზეთი «ცნობის ფურცელი» ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვ 5 მ. 75 კაპ., 10 თვ. 5 მ. 20 კაპ., 9 თვ. 5 მ., 8 თვ. 4 მ. 50 კაპ., 7 თვ. 4 მ., 6 თვ. 3 მ. 50 კ., 5 თვ. 3 მან., 4 თვ. 2 მ. 60 კ., 3 თვ. 2 მან., 2 თვ. 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიხსენიონ ის ნომერი, რომელიც ადრესზედ დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოიგზავნოს.

1 თებერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კ. პ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

◆ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციის განკარგულებით, საგუბერნიო და სამაზრო სამხედრო საკრებულოებისა, სამაზრო სამმართველოსა და ამიერ-კავკასიის საერობო საპოლიციო დარაჯთა სამმართველოს ერთად მოსათავსებლად შენდება **ახალი შენობა** პოლიციის მე-10 ნაწილში ზაქარია კალოევის მამულში.

◆ თავ. ერისთავის კასპის მამულში წელს ვეღარ მოხერხდება პრაქტიკულ მუშაობის მოწყობა ტფილისის საბაღოსნო სკოლის მოსწავლეთათვის. ამიტომ სკოლის საპედაგოგო საბჭომ გადასწყვიტა ყარაიაზში რამდენისამე წლით იჯარით აიღოს კერძო მემამულეთაგან ადგილი და ამ გაზაფხულზედვე დააწყებინოს მოსწავლეთ მუშაობა.

◆ 26 თებერვალს „ტფილისის სობრანიეს“ დარბაზში გაიმართება საღამო უფასო და იაფფასიან სასადილოს სასარგებლოდ.

◆ სად. განჯა. 19 თებერვალს, ღამის ათს საათზე, როდესაც საქონლის მატარებელი № 162 უნდა გასულიყო სადგურიდან, დაეჯახა მანევრის ვაგონებს, ორთქლმავალი გადავიდა ლიანდაგიდან. ვაგონები და ლიანდაგი დაზიანდა.

◆ ბაქოში 6—9 თებერვლის ამბების დროს, სხვათა შორის, მოუკლავთ ქუთაისის მაზრის მცხოვრები მალაქია გრიგორის ძე ცაგარეიშვილი.

◆ 21 თებერვალს ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან მანჯურიის გზაზე გაიგზავნა ოთხი სადგურის უფროსი და ორი ვაგონების გადამზომელი,

◆ შაბათს, 19 თებერვალს, მ. დ. აგლაძის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ტფილისის სატეხნიკო სასწავლებლის ყოფილ მოსწავლეთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ განიხილა საზოგადოების წასულ წლის ანგარიში. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, წასულ წელს საზოგადოებას შემოსვლია სულ 1333 მან. 91 კაპ., დახარჯულა 750 მან. დანარჩენი 580 მან. 91 კ., თანახმად წესდებისა, მიემატა საზოგადოების ძირითად თანხას. კრებამ დაამტკიცა წლიური ანგარიში და აგრეთვე მიმდინარე წლის სავარაუდო აღრიცხვა. შემოსავალი მოსალოდნელია 1004 მან. და ამდენივე ხარჯი [illegible] მ. ღ. ვალი და მ. მ. ნალბანდიანცი, კანდიდატებად ა. მ. გალკინი და პ. ს. ხარიტონოვი, სარევიზიო კომისიის წევრებად გ. ი. რაზვადოვსკი, კ. ი. კარტაშევი, ნ. თ. ნიკოლაევი, გ. ი. ცულიჯანოვი, ნ. თ. ნიკოლაევი და ნ. გ. ადაჯანოვი.

◆ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ 19 თებერვალს განიხილა ხარფუხის ქალაქის სკოლის შენობის პროექტი, შედგენილი ტეხნიკოს ზურაბიანცის მიერ, და დაადგინა, სთხოვოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებას თავისი მოსაზრება გამოსთქვას პროექტის შესახებ. ამავე სხდომაზედ კომისიამ გადასწყვიტა სამის თვით სამსახურიდან დაითხოვონ, თანახმად თხოვნისა, ვერის საქალაქო სკოლის გამგე ა. მ. ჩაჩიბაია და მის მაგიერ დროებით დაინიშნოს თეოდოროვი.

◆ 20 თებერვლისთვის დანიშნული იყო კრება ტფილისის დურგალთა არტელისა, მაგრამ არ შესდგა, რადგან საზოგადოების მოქმედების ანგარიშის შედგენა გამგეობას ჯერაც არ დაუმთავრებია.

◆ ქალაქის გამგეობის მიერ გამოცემულია განსაკუთრებული წესები, რომლითაც ხელმძღვანელობენ მცხოვრებნი ქალაქის საზოგადო არხებით სარგებლობის დროს. რადგან ეს წესები მეტად დაძველდა და აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნილებას, საამშენებლო განყოფილებამ დაავალა ქალაქის ინჟინერს კოგნოვიცკის, გადაათვალიეროს აღნიშნული წესები და შეასწოროს იგი დროის მოთხოვნილების დაგვარად.

◆ ბელგიის [illegible] საზოგადოებამ სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას დააჩქაროს ელექტრონის ვაგონების დამტარებელთათვის შედგენილ ინსტრუქციის დამტკიცება. საზოგადოების წარმომადგენელი სთხოვს გამგეობას, პუშკინისა და ვერის დაღმართებზე რკინის გზის ლიანდაგი არ ირწყვებოდეს, რადგან სველ გზაზე მოძრაობა ელექტრონის ვაგონებს მეტად ხელს უშლისო.

◆ 18 თებერვალს ვერის დაღმართზე მცხოვ. თავ. დ. შერვაშიძის მეეტლეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებმა სიკო გოგიჩაიშვილმა და ალექსი გოგაძემ მოჰპარეს 25 მან. ღირებული საფენი. ქურდები დააპატიმრეს.

◆ ჟანდარმის უნტერ-ოფიცერმა ივანე ბორისოვმა პოლიციას გამოუცხადა, რომ დილის 11 საათზედ ვორონცოვის ძეგლის ახლო ვიღაც ბოროტ განმზრახველმა სახაზინო რევოლვერი ამომაცალაო.

◆ საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბროძელი გაიგზავნა სოფელ მანგლისში სხვა-და-სხვა გადამდებ სენის [illegible] წინააღმდეგ საშუალებათა მისაღებად და მანგლისის სანიტარულ მხრივ დასათვალიერებლად.

◆ 19 თებერვალს ყიფიანის ქუჩაზედ მეეზოვემ დაიჭირა დ. ისაევი, რომელსაც იმავე ქუჩაზედ მცხოვრების ელისაბედ კაციაშვილისათვის მოეპარა საათი და სხვა ვერცხლის ნივთები და მიჰქონდა: ქურდს ნივთები ჩამოართვეს და გადასცეს პატრონს.

◆ რიყეზედ 18 თებერვალს პოლიციელმა დააპატიმრა ტფილისის მოქალაქე ამირ გულიანცი, რომელსაც ვერცხლის საათი მოეპარა და მიჰქონდა. ქურდი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

◆ ქალაქის გამგეობამ მისწერა გუშინ პოლიციის მე-7 ნაწილის ბოქაულს, დაუყოვნებლივ გამოაყვანოს მცხოვრებნი ავლაბრის ქუჩაზე არსებულ მალხაზოვის სახლიდან, რადგან შენობა იმდენად ჩამოძველებულია, რომ შეიძლება ჩამოინგრეს და უბედურება რამე მოჰყვესო.

◆ 20 თებერვლისათვის დანიშნული კრება ტფილისის სამარხ კასისა არ შესდგა, წევრთა საკმაო [illegible] 25 [illegible] 18 თებერვალს [illegible] კარებში მემანქანის თანაშემწეს ვლადიმერ გატარელიძეს და გვერდები ჩაუმტვრია და მარცხენა ფეხი დაუშავა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ფოთი. 19 თებერვალს, საღამოს ხუთ საათზე, როდესაც რკინის გზის დარაჯი ბაგრატ ვანიჩავა სამორიგოდ მიდიოდა, ვიღაცამ ტყვია ესროლა და მხარში დასჭრა.

◆ გორის მაზრის სოფელ შინდისში წითელა მძვინვარებს.

◆ რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნ **ერთი ვინმეს**, რომლისაგანაც გუშინ, 21 თებერვალს, მიიღო წერილი, აცნობოს რომელ დაწესებულებაშია საქმე და, საზოგადოდ, მოაწოდოს დაწვრილებითი ცნობები.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბათუმი. 20 თებერვალს. სომხის ეპისკოპოსის პატივსაცემად გამართულ სადილზე მიწვეულ იქმნენ ქართველ და თათრის წარმომადგენელნი. წარმოითქვა სიტყვები ერთობისა და ძმობის შესახებ.

ერევანი. 21 თებერვალი. თათრებისა და სომხების მტრობამ აქაც იჩინა თავი. როგორც ქალაქში ხმა დადის, საქმე ასე დაწყებულა: ორ თათარს რაღაზედაც ჩხუბით მოსვლიათ და ერთს მეორესათვის რევოლვერი უსროლია. ხმა გავარდნილა, თათრები სომხებსა ჰკლავენო და დარევიან ერთმანერთს. ეს ამბავი მოხდა კვირას, 20 თებერვალს. ჟლეტა-ხოცვა დღეს, 21 თებერვალსაც არის. როგორც ამბობენ, სულ მოკლულა 10 კაცი და დაჭრილა 27 კ. ხალხი საშინლად შეშინებული და შეწუხებულია. ჯარი სცდილობს წესიერების დამყარებას.

ბათუმი. 20 თებერვალს სომეხთა ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ბაქოელ მსხვერპლთა სულის მოსახსენებლად. სიტყვების შემდეგ რაღაც ჩოჩქოლი ასტყდა. ვიღამაც რევოლვერი გაისროლა. ამან ერთი ალიაქოთი და აურზაური ასტეხა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ს. დ. წერეთლის სახელზე დეპუტატთა საკრებულოს შემდეგი შინაარსის წერილი მოუვიდა საერო განათლების სამინისტროსაგან. ეს წერილი ისეთ საკითხს შეეხება, რომლისთვისაც ეს სამი წელიწადია ქუთაისის თავად-აზნაურობა შუამდგომლობას შუამდგომლობაზე, დეპუტაციას დეპუტაციაზე გზავნის ხან სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან, ხან საერო განათლების თუ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, და როგორც იყო, გადაწყდა ჩვენდა სასარგებლოდ. წერილი შეეხება სათავად-აზნაურო სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთების ნებართვას. მაგრამ თვით წერილი ავალაპარაკოთ: „მოწყალეო ხელმწიფევ, თავადო სიმონ დავითისძევ!.. წარსული წლის 16 დეკემბერს თქვენ მიერ საერო განათლების სამინისტროში წარმოდგენილ მოხსენებითი წერილის გამო მაქვს პატივი გაუწყოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ამასთანავე ეცნობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს საჭირო განკარგულების მოსახდენად, რომ სამინისტრომ ნება დართო მდგომარე სამოსწავლო წლიდან ქუთაისის ალექსანდრის [illegible] აზნაურო სასწავლებლის [illegible] კლასები გადაკეთდეს გიმნაზიად თანახმად 1893 წლის გამოცემულ კანონთა [illegible] ნაწილის მე-1472 მუხლი XI ტ. [illegible] სა. მიიღეთ რწმუნება სრულის [illegible] ცემისა და ერთგულებისა ვ. გლა[illegible] წერილი გამოგზავნილია ამ წლის 5 თებერვლის თარიღით. როგორც წერილიდან სჩანს, უფროს კლასების გახსნისათვის საჭირო ყოფილა კიდევ ოლქის მზრუნველისაგან საჭირო განკარგულების მოხდენა“. ე. ი. ოფიციალურად შეტყობინება სამინისტროს დადგენილებისა. ნეტა როდის ჩამოაწევს ეს ოფიციალური ქაღალდი ქუთაისამდის? ნუ თუ ეხლაც ჩვეულებრივ მოისვენებს მწვანე მაუდს ქვეშ!?

◆ 14 თებერვალს ქუთაისში მომხდარ უბედურების შემდეგ ქალაქის ერთად ერთი ბაღი, ბულვარი, პოლიციის განკარგულებით დაკეტილია. ქუთათურებს-კი უბულვროდ ცხოვრება, მოგეხსენებათ, ისე არ შეუძლიათ, როგორც თევზს უწყლოდ. ამიტომაცაა, რომ ხალხი ჩვეულებრივ ეტანება ბულვარს, მაგრამ, შიგ რომ ვერ შედის, გარეშემო უტრიალებს; თითქოს თავს ევლებაო. ტროტუარებზე ტევა აღარ არის მოსეირნეთაგან. წესიერების დამცველ დარაჯებს-კი ეს ერთად შეჯგუფული ხალხი სადემონსტრაციო კრება ჰგონიათ და ხშირად „разойдись“-ო, ჰყვირიან. უნდა უყუროთ, რა ალიაქოთი ადგება ხოლმე მოსეირნეთა შორის, ამ შიშის მომგვრელ სიტყვას რომ გაიგონებენ. ყველა გარბის, სცდილობს თავი დაახწიოს უდანაშაულო ცემა-ტყეპას; ერთმანეთს ეჯახებიან; ზოგი თხრილებში ვარდება, ზოგი ტროტუარზედ ეცემა და ხალხი ზედ გადადის. ნუ-თუ ქალაქის გამგეობას არ შეუძლია მოითხოვოს ბულვრის გაღება, რომ ხალხს თავისუფლად შეეძლოს სეირნობა და რამე უბედურობა არ დატრიალდეს? ბულვარის დაკეტვასთან ერთად დაიკეტა წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის კიოსკიც.

◆ ქალაქთან დადებულ პირობის ძალით წყლისაყვანისა და საელექტრონო ტრამვაის ამხანაგობა ვალდებული იყო დაემთავრებინა წყლისაყვანი წარსულ წლის 25 ივლისამდის. თუ ამხანაგობა ამ ვადამდის ვერ გაათავებდა სამუშაოს, შეეძლო კიდევ ექვსი თვის განმავლობაში განეგრძო მუშაობა, მხოლოდ ყოველს თვეში-კი უნდა ჯარიმა ეხადნა ქალაქის სასარგებლოდ 500 მანეთი. ეს საჯარიმო ექვსი თვეც გავიდა ამ წლის 25 იანვარს, მაგრამ წყლისაყვანის საქმე მაინც შეჩერებულია; კაცმა ისიც-კი არ იცის, სად არის ბ-ნი მიხაილოვი. ამის გამო ქალაქის გამგეობამ წერილით მოსთხოვა ამხანაგობის გამგეობას, წერილის მიღებიდან ერთის კვირის განმავლობაში გვაცნობეთ მიზეზები, რომლის გამო წყლისაყვანის გაკეთება ვერ გაათავა ამხანაგობამო.

◆ ქალაქის გამგეობის წევრს ვ. ნ. კანდელაკს საჩივრით მიუმართავს გუბერნატორისათვის: 16 თებერვალს კინაღამ მომკლეს დარაჯებმა, რომელთაც ბოქაული მახარაძე უფროსობდაო, საჩივარში, სხვათა შორის, ნათქვამია: „როდესაც ნოქარს ბოკერიას მიასვენებდნენ, მე ვიდექ ექიმის გოკიელოვის სახლთან. პროცესია თითქმის სულ ჩათავდა; ამ დროს გაჩნდნენ დარაჯები, რომელნიც ცხენებითა და მათრახებით დაერივნენ ხალხს, ასტეხეს თოფის სროლა და პროცესიას უკანა ნაწილი მოსჭრეს. შეიქმნა წივილ-კივილი; ხალხი აირია; ყველა სცდილობდა თავისთვის ეშველნა; არეულობის დროს ბევრი თხრილებში ჩაცვივდა და ხალხმა გადუარა, ძლივს ცოცხალი გამოათრიესო. ერთი დარაჯი, გვარად: როგორც შემდეგ გავიგე, [illegible]რადოვი, მე მომვარდა, გულზე თოფი [illegible] და მიყვიროდა: წადი, თორემ [illegible]ვო. კანდელაკი თხოულობს დარაჯის [illegible] სჯას.

◆ [illegible] თებერვალს ქუთაისის სადგურ-მამულ[illegible] უნდა მომხდარიყო საჯარო ვაჭრობა [illegible]ის გასაყიდად, რომელთა პატრონებ[illegible] მაგრამ ბანკ[illegible] ბულთა კრებ[illegible] რობა ამ წლის ივლისამდის გა[illegible] კი მსესხებელთ შესატანი ექნებათ როგორც ეხლანდელი, ისე ივლისის გადასახადი ერთად.

ფელეტონი

საფრანგეთის ისტორიიდან

ლუი მეთექვსმეტე სულ ახალგაზდა იყო, როცა სამეფო ტახტზე ავიდა (1774 წ.). გულუბრყვილო ხალხი აღტაცებით თურმე მიეგება ახალგაზდა მეფეს—იმედი ჰქონდა, რომ მეფის გამოცვლა მის ცხოვრებაშიაც შეიტანდა რაიმე ცვლილებას, შეუმსუბუქებდა გაჭირვებულ მდგომარეობას. არა თუ ხალხი, ხშირად მოწინავე პირები, ინტელიგენციაც კი გაუტაცნია ასეთ იმედებს... ამიტომ საფრანგეთის ხალხს ვერ ვუკიჟინებთ ამ გულუბრყვილობას, მით უფრო, რომ ლუი მეთექვსმეტეს გულკეთილ, ხალხის თანამგრძნობ კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ამბობენ, მართლა გულკეთილი ადამიანი იყო ძველ საფრანგეთის უკანასკნელი მეფე, მართლა ჰქონდა სურვილი ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობის გაუმჯობესებისათ; მაგრამ, როგორც ვიციით, ასეთ საქმისათვის სრულიად საკმარისი არ არის გულკეთილობა და წრფელი სურვილი.

ლუი მეთექვსმეტე ერთობ სუსტის ხასიათის კაცი იყო; მახლობლებს დიდი გავლენა ჰქონდათ მაზე, განსაკუთრებით დედოფალს მარიამ ანტუანეტას და მეფის ძმებს, საფრანგეთის პრინცებს (ბატონიშვილებს); ესენი კი სულით და გულით არსებულ წესწყობილების მომხრენი და ყოველგვარ ცვლილების შეურიგებელი მტრები იყვნენ. როცა რომელიმე გონიერი მინისტრი შეაგონებდა რასმე მეფეს და ხალხის სასარგებლო კანონს გამოაცემინებდა, დედოფალი, პრინცები და კარის კაცები იმდენს ეცდებოდნენ, რომ ან კანონს მოასპობინებდნენ ან და ისე შეაცვლევინებდნენ, რომ ყოველი მნიშვნელობა ეკარგებოდა.

რასაკვირველია მეფის ასეთ ქცევის მიზეზიმართო სუსტი ხასიათი როდი იყო: ლუი მეთექვსმეტე ვერ დაიკვეხნიდა ვერც დიდ გონიერებას და ვერც შორს გამჭვრეტელობას; მას არ ესმოდა იმ დროის ვითარება და დარწმუნებული იყო, რომ ბურბონები (საფრანგეთის მეფენი გვარად ბურბონები იყვნენ) შემდეგშიაც ისე იმეფებნენ, როგორც წინად უმეფნიათ. ხალხის გაჭირვების და უკმაყოფილების სიღრმე-სიგანის გაზომვა მიუწდომელი იყო ლუი მეთექვსმეტეს პატარა ჭკუისათვის.

ახალგაზდა მეფის პირველი ნაბიჯი თითქოს ახალ ხანის მომასწავებელი იყო: მინისტრებად მართლა გონიერი და შორს გამჭვრეტი პირები მოიწვია: მათ შორის ყველაზე შესანიშნავი ფინანსთა მინისტრი (მაშინ „მთავარ კონტროლიორს“ ეძახდნენ) ტიურგო იყო. ტიურგო ნათლად ხედავდა მომავალ ქარიშხალს და ყოველ ღონეს ღონობდა თავიდან აეცილებინა იგი საფრანგეთისათვის: თუ არ ეშველა ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას, თუ მშვიდობიანის გზით არ შეიცვალა არსებული აუტანელი წესწყობილება, ხალხი მოთმინებას დაჰკარგავს, აღელდება და ხალხის ამ მღელვარების ტალღა წალეკავს ყველაფერს, რაც წინ გადაეღობებაო, აი რას ჰფიქრობდნენ ტიურგო და მისი თანამოაზრენი. შინაგან საქმეთა მინისტრი მალერბი სცდილობდა სასამართლოს სამართლიან გზაზე დაეყენებინა, უნდოდა მოესპო თვითნებობა, მომხრე იყო წერის და სინიდისის თავისუფლებისა. ტიურგოს განზრახვები უფრო ფართო და დიდმნიშვნელოვანი იყო. 1776 წელს მეფემ გამოსცა, ტიურგოს შეგონებით, განთქმული დეკრეტები (ბრძანებანი), რომლითაც ძალით უნდა მოესპობინათ საფრანგეთში ფეოდალურ, ბატონყმურ წესწყობილების ნაშთები (მაგალითად, ბეგარა და საბაჟოები) და პიროვნებას მისცემოდა მეტი თავისუფლება (ვაჭრობა-მრეწველობა და ხელოსნობა სრულიად თავისუფლდებოდა ძველ შემავიწროვებელ წესებისაგან). ტიურგო ამას არ სჯერდებოდა: მისი განზრახვა იყო გადასახადი გაეწერა თავად-აზნაურობასა და სასულიერო წოდების ადგილ-მამულზე და ხალხის წარმომადგენლები მოეწვია სახელმწიფო საქმეებზე საბჭობლად. იმედიც ჰქონდა თავის განზრახვის სისრულეში მოყვანისა, რადგან ლუი მეთექვსმეტე მის მხარეზე იყო.

სასახლე, თავად-აზნაურობა და სამღვდელოება ფეხზე დადგა—ბეგარისა და საბაჟოების მოსპობა კარგ შემოსავალს აკლებდა მათ; მრეწველობა.—ხელოსნობის განთავისუფლება მშრომელ ხელს მოაკლებდა მათ მიწებს; ბევრი გლეხი ქალაქს მიაშურებდა და აქ ხელოსნობას არჩევდა სოფლად მუშად ყოფნას მოსალოდნელი სასადგილ-მამულო გადასახადი კიდევ უარესს უქადდა მათ; გარდა ამისა ტიურგო წინააღმდეგი იყო სასახლის მფლანგველობისა, იგი თხოულობდა მომჭირნეობას, უაირათიანობას და ეს-კი წარმოუდგენელი იყო განცხრომის მოტრფიალე დედოფლისა და კარის-კაცებისათვის. შეუჩნდნენ მეფეს და იმდენი მოახერხეს, რომ ტიურგო გადააყენებინეს: სამეფოს ღუპავს, რევოლიუცია უნდა მოახდინოსო, ამბობდნენ იმ კაცზე, რომელიც ყოველ ღონეს ღონობდა თავიდან აეცილებინა საფრანგეთისათვის რევოლიუციის საშინელებანი.

ტიურგოს წასვლის შემდეგ თითქმის სავსებით მოსპეს ზემოთ-მოხსენებული ედიქტები და საფრანგეთი ისევ ძველ კალაპოტში ჩადგა. გაჭირვება მატულობდა; ფული იყო საჭირო და საფრანგეთი-კი ვალებში იყო ჩაფლული. მომჭირნეობა და უაირათიანობა ჭირივით სძულდა სასახლეს და ამიტომ ისეთ კაცს ეძებდნენ ტიურგოს ადგილზე, რომ ბლომად ფული ეშოვა, რაც არ უნდა დაჯდომოდა იგი სახელმწიფოს.

დანიშნეს იმ დროს კარგად ცნობილი ბანკირი ჟენეველი ნეკკერი. ნეკკერი გონიერი კაცი იყო, მაგრამ ტიურგოს შესანიშნავ სახელმწიფო ჭკუასთან ჟენეველ ბანკირის ეს გონიერება არაფერი იყო.

პირველ ხანებში ნეკკერს ძალიან ემადლიერებოდნენ სასახლეში: რადგან კარგისა და ფრთხილის ფინანსისტის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ფულის სესხება ადვილად მოახერხა და რაკი ფული იყო, სასახლესაც მეტი არა უნდოდა-რა—ხვალინდელ დღეზე აქ არავინ ზრუნავდა. საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა-კი უფრო და უფრო უარესდებოდა დავალიანებისაგან და ნეკკერიც ბოლოს იძულებული იყო ტიურგოს აზრს დასდგომოდა—გაეწერა გადასახადი თავად-აზნაურობისა და სასულიერო წოდების ადგილ-მამულზე; მაგრამ ჯერას გახდა და ერთს, სრულიად ახალ, საშუალებას მიჰმართა მთავრობის აზრის შესაცვლელად და საზოგადოების აზრის მისამხრობად.

ძველ საფრანგეთში სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ანგარიში მარტო ფინანსთა მინისტრმა იცოდა. რამდენი იყო წლიური შემოსავალი, რომელ გადასახადისაგან რა შემოდიოდა, რაზედ იხარჯებოდა ეს შემოსავალი, ამ კითხვაზე პასუხს არავინ იძლეოდა: ხალხმა გადასახადი გვაძლიოს და რამდენს რაზედ დავხარჯავთ, ეს რა მისი საქმეაო, ასე ჰფიქრობდნენ ძველ საფრანგეთის მმართველები. ზოგ ჩამორჩენილ სახელმწიფოში დღესაც ამ გვარი წესია გამეფებული. რუსეთში, მაგალითად, თუმცა ეს ერთი ხანია აცხადებენ სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვას, სადაც აღნიშნულია სახელმწიფო შემოსავლის წყაროები და ის საგნები, რომლებზედაც უნდა დაიხარჯოს ეს შემოსავალი, მაგრამ ეს ხარჯთ-აღრიცხვა ისეა შედგენილი, რომ დიდი სპეციალისტიც ვერ მიხვდება სახელმწიფოს ნამდვილ ფინანსიურ მდგომარეობას, და, გარდა, ამისა ამ გამოცხადებულ ხარჯთ-აღრიცხვის შეცვლა წლის განმავლობაში მთავრობის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

ძველ საფრანგეთში ნეკკერი პირველი იყო, რომ გამოაქვეყნა სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობის სრული ანგარიში. ამ ანგარიშიდან ხალხმა თვალნათლივ დაინახა, რომ ხარჯის გამღები მხოლოდ ის არის, რომ აუარებელი ფული იხარჯება სასახლის შესანახად და კარის-კაცების საჩუქრებზე, რომ ამის მიზეზით საფრანგეთი საშინლად ავალიანებულია. ერთის სიტყვით, ყველასათვის ცხადი შეიქნა საფრანგეთის უნუგეშო მდგომარეობა და ისიც, რომ ამ მდგომარეობის პირველი მიზეზი მთავრობა და მთავრობის მომხრე წოდებანი იყვნენ.

რასაკვირველია, ნეკკერი მაშინვე გადააყენეს თანამდებობიდან.

ფული-კი არ იყო და არა; რაც დრო მიდიოდა, საფრანგეთი უფრო და უფრო ვალიანდებოდა; სახელმწიფოს შემოსავალს კი არა ემატებოდა-რა. რომელი მინისტრიც არ დააყენეს, ბოლოს ყველა იძულებული ხდებოდა ტიურგოს მიერ განზრახულ ღონისძიებაზე გაჩერებულიყვნენ: მდიდარ კლასებს, თავად-აზნაურობას

◆ ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე კიდევ ავად გახდა. მის თანამდებობას ასრულებს გრ. ი. გველესიანი.

◆ 18 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, გენერლის ქუჩაზე, გიმნაზიის მღვდელს ტუგარინოვს თავს დასხმია რამდენიმე შეიარაღებული კაცი, მაგრამ ვერაფერი წაუღიათ და თოფების სროლით წასულან. ამ ერთი კვირის წინად ამგვარადვე თავს დაესხნენ მღვდელს მ. აბესაძეს, მაგრამ იქიდანაც ხელცარიელნი წავიდნენ.

◆ საერთო არეულობის გამო, როდესაც ყველა სასწავლებელში სწავლა შესწყდა და ქუჩებში გავლა საშიში შეიქმნა წამ-და-უწუმ თოფების სროლის გამო, სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოწაფეთა შეშინებულს მშობლებს უთხოვნიათ ინსპექტორისათვის, დროებით სწავლა შესწყვიტეთ სასწავლებელში და ბავშვები დაითხოვეთო. 15 თებერვალს ბ-ნს ინსპექტორსაც საჭიროდ უცვნია მშობლების თხოვნის შესრულება და მოწაფეები დაუთხოვნია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, თვითონ მოწაფენი დასთხოვიან სწავლას. ეს ამბავი ბ-ნს ინსპექტორს მაშინვე სახალხო სკოლების დირექტორისათვის უცნობებია. ბ-ნს დირექტორს, როგორც სჩანს, არ მოსწონებია ეს და ეკითხება სასწავლებლის მმართველს. შეგატყობინეთ, ვინ მოგცათ სასწავლებლის დახურვის ნება, ამ ჟამად ქუთაისში მყოფ კაცისათვის, თუ კი განგებ მიზეზს არ ეძებს, განა საჭიროა ამისი პასუხი?!

რუსეთის ქრონიკა

ვარშაველი მექარხნენი. 3 თებერვალს შეკრებილან ვარშავის მრეწველობის 50 წარმომადგენელი იმ მოვლენათა განსახილველად, რომელთაც თავი იჩინეს მუშების უკანასკნელ გაფიცვის გამო. ხანგრძლივ თათბირის შემდეგ კრება შემდეგ დასკვნამდე მივიდა.

მუშების საერთო გაფიცვა, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ მუშაობაზე ხელი აიღეს და სოციალ-ეკონომიურ ხასიათის მოთხოვნანი წარმოადგინეს, არ არის შედეგი მხოლოდ საქმის პატრონებისა და მუშებს არსებულ ურთი-ერთ დამოკიდებულებისა; ეს საერთო გაფიცვა ბევრში ისეთ მიზეზების შედეგია, რომელნიც საქმის პატრონთა გავლენას სრულიად არ ექვემდებარება.

საქმის პატრონთა და მუშების ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგება მოსალოდნელია პირველად ყოვლისა სოციალურ რეფორმებისა და შეკრების და შეკავშირების სრულ თავისუფლებისაგან; თუ საქმის პატრონებსა და მუშებს მინიჭებული ექნება ეს თავისუფლება, შრომის პირობებიც გაუმჯობესდება აშკარა და პირდაპირის მოლაპარაკებით, მაშინ სტიქიურ მოძრაობას ადგილი აღარ ექნება.

გარდა ამისა აუცილებელია მუშა ხალხის განათლების ამაღლება, სახალხო განათლების რეფორმა; სკოლა, რასაკვირველია პოლონური უნდა იქნეს და თან ისე დაყენებული, რომ მართლა ხელს უწყობდეს ხალხის კულტურულ განვითარებას.

რაც შეეხება მუშების მოთხოვნებს, ისეთი მოთხოვნანი, როგორც, მაგალითად, სამუშაო დღის შემოკლებაა, სახელმწიფო დაზღვევა და ამ გვარები, საკანონმდებლო გზით უნდა დაკმაყოფილდეს ერთ დროს მთელის სახელმწიფოსათვის. სხვა უფრო წვრილ მოთხოვნათ განიხილავენ საქმის პატრონთა საგანგებო კომისიები. („რუს“).

რუს მწერლების დატუსაღება. მოსკოვიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: „10 თებერვალს, საღამოს დაატუსაღეს ცნობილი მწერალი ლეონიდ ანდრეევი; ამ დროს მის ბინაზე თხუთმეტამდე კაცი იყო, მათ შორის ჩირიკოვი, სკიტალეცი და სხვანი; ესენიც დაუტუსაღებიათ. მეორე დღეს ისევ გაუნთავისუფლებიათ ყველა, გარდა ანდრეევისა.“

კობეკოს კომისია. როგორც ვიცით, კობეკოს საგანგებო კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ბეჭდვით საქმის შესახებ არსებულ კანონმდებლობის გადასინჯვა, სასურველად დაინახა მწერლობის და პრესის თავისუფლება; მაგრამ ეს თავისუფლება იქნება მხოლოდ რუსულ მწერლობისა და პრესისათვის, სხვა, არა რუსულ მწერლობისა და პრესისათვის კი ისევ ძველი კანონები უნდა დარჩესო. („სლოვო“).

მოსკოვის ქალაქის თავი, გოლიცინი, პასუხის გებაში უნდა მიეცათ, რადგან 30 ნოემბრის სხდომაზე ნება მისცა საბჭოს მსჯელობა ჰქონებოდა სახელმწიფო საქმეებზე და შესაფერი რეზოლიუციებიც მიეღო. 14 თებერვალს ამ საქმეზე მსჯელობა ჰქონდა საქალაქო საქმეთა საკრებულოს. 4 წევრი (არჩეული) წინააღმდეგი იყო ქალაქის თავის პასუხის გებაში მიცემისა. გუბერნიის მარშლის მაგიერმა ბაზილევსკიმ სთქვა, რომ თავად გოლიცინს არ შეეძლო არ დამორჩილებოდა საბჭოს სურვილს, რადგან საქმე კიდევ უფრო გამწვავდებოდაო. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ, საბჭოს 30 ნოემბრის დადგენილება თუნდაც უკანონოც იყოს, ქალაქის თავს არავითარი დანაშაული არ მიუძღვისო; დიდი, დიდი, უფლებას გადააჭარბა, მაგრამ 340 მუხლი ნებას აძლევს ქალაქის თავს უფლებით ასეთ გადაჭარბებისას, თუ ამას მოითხოვს დრო და გარემოება; ქალაქის თავი რომ სხვაფრივ მოქცეულიყო, უარესი მოხდებოდაო. ამ აზრს მიემხრო საკრებულოს უმრავლესობა, რომელმაც დაადგინა, რომ თავადი გოლიცინი პასუხის გებაში არ უნდა იქმნეს მიცემულიო.

პრესსა

„ჯერ კიდევ გვიან არ არის“-ო, სთქვა ხარკოვის ერობამ და 11 თებერვლის „რუს“-ის მეთაურს ეს სიტყვები აქვს ეპიგრაფად: „ჯერ კიდევ გვიან არ არის, შეგვიძლიან გაჭირვებულ მდგომარეობას ვუშველოთ, რადგან რუსის ხალხს საკმაო შემოქმედებითი ძალა აქვსო, ამბობს გაზეთი; მაგრამ მომენტი დადგა და დაგვიანებაც აღარ შეიძლება, რადგან რეფორმა სახელმწიფო აუცილებლობა არისო.

მაგრამ სანამ ამას დასკვნიდეს, მეთაური ანგარიშობს იმ ძალებს, რომელნიც დღეს რუსეთში მოქმედებენ.

გარდა უბედურ ომიანობისა, ოთხი ძალაა, რომ უზარ-მაზარ იმპერიის შინაურ მდგომარეობაზე ზედ-მოქმედებს: მთავრობა; საზოგადოება გაერთსულებული როგორც არასოდეს; მუშათა მძლავრი მუშაობა; პატარა ჯგუფი მებრძოლ ტერორისტულ ორგანიზაციისა.

უკანასკნელი ძალა „რუს“-ის აზრით, ორგანულ, თან-და-თან მოქმედების წინააღმდეგია, იგი სტიქიონურად მოძრაობს და ანგრევს. საზოგადოება და მუშათა ორგანიზაცია მოწადინებულია ორგანიულად იმოქმედოს, თუმცა სცდილობს, რომ რეფორმა რაც შეიძლება ჩქარა განხორციელდეს. ამიტომ აუცილებელია, რომ ამათმა ცდამ ეხლავე მიაღწიოს საგანს, თორემ სტიქიონურად მომქმედი ძალა არ დასცხრება..

მაგრამ რას წარმოადგენს პირველად დასახელებული ძალა?

განა დრო არ არის, ბიუროკრატიამ ჰკითხოს თავისთავს, გვაქვს თუ არა დღეს მთავრობა იმ მთლიან სახით, როგორიც უნდა ჰქონდეს?.. არ იყო, მაგალითად, მთავრობა 9 იანვარს პეტერბურგში; არც ბაქოში ყოფილა ამ საშინელ დღეებში... და ეს ასე არის მეორე წელიწადია: იაპონიის ომი რომ დაიწყო, ბიუროკრატიული მთავრობა, რომელიც მშვიდობიანობის დროსაც არ კმაროდა, გადნა, როგორც თოვლი გაზაფხულის მზის გავლენით.

რუსეთის ბიუროკრატიზმის ბაბილონის გოდო[illegible]ც ცამდე ჰქონდა თათრულ-ბიზანტიური თავი, ერთბაშად დაინგრა ყველა სართულებით და საძირკვლითაც კი...

შემდეგ გაზეთი გადადის სათითაოდ სხვა-და-სხვა უწყებაზე:

სამხედრო უწყებამ ერთის წლის განმავლობაში დიდის გაჭირვებით თავი მოუყარა ნახევარმილიონ ჯარს, თუმცა სახელმძღვანელოებიდან გვისწავლია, რომ რუსეთი პირველი სამხედრო სახელმწიფოა, რომელსაც ექვსი მილიონი ჯარი ჰყავსო. ასევე დიდის გაჭირვებით მოუყარა თავი საზღვაო უწყებამ ესკადრას, რომელიც იაპონიისაზე ნაკუწები გამოდგა.

ფინანსთა სამინისტრო? იგი გახდა კასირი უბედურ ომიანობისა, რომლისთვისაც აჩერხებს სხვა-და-სხვა ჩვენთვის არა ხელსაყრელ სესხებს. შემოქმედებითი რეფორმები ამ უწყებისა ვერ გასცილებია ქაღალდის ფულის ახალ სერიების გამოცემას და საზღვარ-გარედ წასასვლელ პასპორტების ვადის შემცირებას...

გზათა სამინისტრო? მაგრამ თუ ჩვენი გზები გაჩერებულია, თუ 135 მილიონი ფუთი პური ყრია სადგურებზე, სადღაა გზათა სამინისტრო.

სად არის სახალხო განათლების სამინისტრო? რუსეთის საზოგადოება აღარც კი სცდილობს მიანახოს იგი მას შემდეგ, რაც ასეთი სერიოზული ამბები დატრიალდა უმაღლეს სასწავლებლებში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო... უფლება არა გვაქვს რამე მოვსთხოვოთ მინისტრს, რომელიც ეხლახან დაინიშნა; მაგრამ სწორედ ამ სამინისტროსათვის დღემდე ნამდვილი ჭეშმარიტებაა ნიკოლოზ პირველის სიტყვები—40 ათასი „სტოლნაჩალნიკ“-ია რუსეთის მმართველიო; და ამ 40 ათასმა სტოლნაჩალნიკმა დღეს სრულიად თავი დაანება ცუდ მართვასაც. ბაქოს საშინელი მაგალითი გვიჩვენებს, რას წარმოადგენენ ეს ბიუროკრატიული ორგანოები თავისთავად, ჯარების დაუხმარებლად...

ერთის სიტყვით, საითაც არ უნდა მიიხედოს რუსეთის საზოგადოებამ, რომელ უწყებასაც არ უნდა მიჰმართოს, არსად არ არის შეგნებული მოქმედებაო. და ასეთ დაქსაქსულ ადმინისტრატიულ მთავრობის წინააღმდეგ სდგანან—მძლავრი მოძრაობა მუშებისა და საკვირველის თანხმობით მომქმედი საზოგადოება...

ფოთური რამე-რუმე

საბჭოს დადგენილება.—ნოქრების ვაჭრებთან შეთანხმება.—მოსწავლეთა მოთხოვნილება.—პალმის დედა ბოძი და გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭო.

კარგა ხანია, რაც ნავთ-სადგურში არც ერთ საზღვაოსნო საზოგადოების გემი არ შემოსულა. ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილი 8 უცხოეთის გემი, რომელიც შავი ქვით დატვირთვას ელის და კაცმა არ აღირსა. ადრე მოსული 2 გემი უკანვე ცარიელი დაბრუნდა. უამისოდაც ჩარჩების მიერ გაფუჭებულ ბაზარს, საოცარი კრიზისი დაუდგა, რადგან მუშები სამართლიანად ამკევინებენ ვაჭრებს იმას, რაც მათში დაუთესიათ. კარგი დღე არც რკინის გზის მიმოსვლას ადგია. ფოსტას თავის დროზედ ვერ ვღებულობთ, რადგან მატარებლების მიმოსვლა აბნეულია.

ახალმა სიომ, რომელმაც აქ შესამჩნევად დაჰბერა, ბევრი საკითხი წამოაყენა წინ. რამდენიმე ხმოსანმა საბჭოში განცხადება შეიტანა, რომ გაფიცვის გამო უღუკმაპუროდ დარჩენილ მუშებს ქალაქმა კასიდან შემწეობა აღმოუჩინოსო. ამ კეთილ საქმისათვის საბჭომ 600 მან. გამოიღო, მაგრამ მისი დახარჯვა გუბერნატორმა შეაჩერა, რის გამო ბევრი მუშა უმწეოდ არის დარჩენილი.

საერთო მოძრაობის ნიავი ნოქრებსაც ეალერსება და ნანინას ეუბნება იმ დროს, როდესაც მთელი დღე მაღაზიაში ჯდომით ტვინი ეღრინებოდათ. ამ ჟამად გამარჯვება ნოქრებს დარჩათ. მაღაზიები კვირა-უქმეობით მთელი დღე დაკეტილია, მხოლოდ საქმე დღეს,—საღამოს 8 საათიდან.

საქალაქო სკოლის მოწაფეთ და მათ მშობლებსაც დიდი სიფხიზლე დაეტყო. მოსწავლეებმა სასწავლებლის მთავრობას თავიანთი მოთხოვნილება წარუდგინეს, სადაც, სხვათა შორის, თხოულობენ უარ-ყოფილ დედა-ენის შემოღებას და სწავლის გადასახადის შემცირებას. სანამ შეწყვეტილ სწავლას განაახლებენ, საპედაგოგო საბჭომ მშობლებს შეეკითხა; „თქვენ რა აზრისა ხართ მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ მოთხოვნილების შესახებო. ამაზედ, რასაკვირველია, მშობლებმაც, რომელთაც მრავლად მოეყარათ თავი სკოლის დარბაზში, ის კვერი დაკრეს, რომ მოსწავლეთა მოთხოვნილებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, თორემ რა გინდ რამე კაცმა მალოს, ჭირი თავსა არ დამალავსო!.. აღსანიშნავია ზოგიერთ მასწავლებლის უსაფუძვლო შენიშვნა: „ჩვენ ქართულს არ ვიცნობთ“. არ ვიცით, რაზედ ფიქრობდა ამის მთქმელი იმ დროს, როდესაც ქართული ენა ჯვარზედ აცვეს, რომლის აღდგენას დღეს ყველა ლამობს?!..

ბათუმის ბედნიერება, პალმის გაქრობა, რომელსაც ფოთშიაც ურჩევია დედა ბოძი, საიდანაც თითქოს ტელეფონით იყოს შეერთებული, ისე მარდად აცნობდა აჭარულ ჭორებს თავის გაზეთში, ჩვენც მოგვეფინა. პალმის მეგობრების წყალობით გურია სამეგრელოს საეპარქიო საბჭომ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ბევრმა წევრობას თავი გაანება. გურია სამეგრელოს საბჭოს წევრობაზე უარი განაცხადეს: ნ. ნიკოლაძემ, ი. ფალცხავამ, კ. მიქაბერიძემ, ლ. ჩაჩანაძემ, ი. სანებლიძემ და ალ. ეროსლავმა. ამათ მაგიერად ეპისკოპოზის დიმიტრის განკარგულებით დაინიშნენ: ვ. პლოხოტკინოვი, (ძველად სკოლის ინსპექტორი,—ახლა კერძო ვექილი), ვლ. გრეკოვი, (პოლიცმეისტრის თანაშემწე), სამხედრო ექიმი შარდინი, რომელმაც ერთხელ გამგეობის დარბაზში თავი ისახელა თავის ყალბი აზრებით. რაც შეეხება დანარჩენ წევრებს, ყველანი მღვდლები არიან.

ი. იანეთელი

ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა არჩევნები

18 თებერვლის კრებაც ისეთივე უფერული და უსიცოცხლო იყო, როგორიც 17 თებერვლის. უნდა მოეხდინათ ბანკის მეორე რიგის მსესხებელთა რწმუნებულების არჩევნები. თავმჯდომარეობდა ზედამხედველ კომიტეტის წევრი დ. ბ. მდივანი. მეორე რიგის 276 მსესხებელთაგან კრებას დაესწრო სულ 26 კაცი, რომელთა სურვილით ჯერ კენჭი უყარეს მეორე რიგის მსესხებელთ. სულ დაიდგა 35 ყუთი. არჩეულ იქნა მხოლოდ 24 კაცი. ესენია; დ. ზ. ბაკერია, რომელმაც მიიღო 18 თეთრი და 6 შავი; ნ. პ. ჯაიანი—23 თ. და 3 შავი; პ. მ. ჩხეიძე—15 თ. და 11 შავი; გაბუნია ბ. გ.—23 თ. და 2 შ.; რ. ქ. მახარაძე—15 თ. და 11 შ.; ი. ტ. ხაინდრავა—21 თ. და 4 შ.; ს. გ. ბოკერია—21 თ. და 5 შ.; პ. ბ. ანანიევი—16 თ. და 10 შ.; ს. ი. წერეთელი—17 თ. და 8 შ.; ა. მურალოვი—14 თ. და 13 შ.; ს. ი. პეიშვილი—21 თ. და 5 შ; ი. ს. მამაჯანოვი—22 თ. და 3 შავი., ს. თ. ხუნდაძე—19 თ. და 6 შავი.; ნ. ფარულია 20 თ. და 5 შავი., მ. ლ. ქურქაშვილი—20 თ. და 4 შავი., ს. გ. კირიშჩევი—15 თ. და 10 შავი., ფ. ბ. გაბუნია—18 თ. და 8 შავი., ი. გ. ბაქრაძე—16 თ. და 10 შავი., ნ. დ. მაჭავარიანი—17 თ. და 8 შ., ვ. ნ. კანდელაკი—15 თ. და 10 შ.; თ. ო. წიქორიძე—18 თ. და 6 შ.; ი. ი. ნიკოლაიშვილი—14 თ. 12 შ.; რ. ე. რიჟინაშვილი—18 თ. და 7 შ.; ი. ა. რიჟინაშვილი—15 თ. და 10 შ.

ასარჩევი დარჩა კიდევ 11 რწმუნებული და 5 მათი კანდიდატი. უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ გაშავებულებს ხელმეორედ ვუყაროთ კენჭიო. ს. დ. ჯაფარიძე კი სრულიად სამართლიანად თხოულობდა, ჯერ ახლებს ვუყაროთ კენჭი და, თუ ახლებით ვერ შევავსებთ საჭირო რიცხვს, მაშინ რიცხვის შესავსებად გაშავებულებიც მივიშველიოთო. კენჭი ერთად უყარეს როგორც გაშავებულებს, ისე ახლებს. სულ დაიდგა 39 ყუთი. ხმის უმეტესობით არჩეულ იქნენ რწმუნებულებად: ი. ი. ჭილაძე, რომელმაც მიიღო 22 თ. და 3 შ.; ა. გ. ერისთავი—19 თ. და 6 შ.; მ. მ. ვოლოხი—22 თ. და 3 შ., გ. ს. ბარათაშვილი—19 თ. და 6 შ.; ა. ს. ხაბურზანია—19 თ. და 6 შ.; ი. ი. ოცხელი—22 თ. და 3 შ; ვ. ნ. აბულაძე—21 თ. და 4 შ.; ყ. ბ. დათეშიძე—20 თ. და 5 შ.; ვ. ლ. ქორქაშვილი—18 თ. და 7 შ.; ზ. ს. ბუტულოვი—21 თ. და 4 შ. კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: დეკანოზი გ. ცაგერეიშვილი—17 თ. და 8 შავი; დ. ი. მიქაბერიძე—16 თ. და 9 შ.; კ. ს. გუგუშვილი—16 თ. და 9 შ. ე. ს. ბერძენიშვილი—15 თ. და 10 შ. და ნ. ი. ჯიჯიხია—15 თ. და 10 შავი.

19 თებერვალს ბანკის ზედამხედველ კომიტეტის ს. დ. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით მესამე რიგის მსესხებელნი შეუდგნენ თავის რწმუნებულთა არჩევნებს. 2132 მსესხებელთაგან გამოცხადდა მხოლოდ 54 კაცი. დღესაც სარჩევი იყო 35 რწმუნებული და 5 მათი კანდიდატი. ყუთი დაუდგეს 70 კაცს, რომელთაგან არჩეულ იქმნენ: ჯ. დ. იაშვილი, რომელმაც მიიღო 36 თეთრი და 17 შავი; ბ. ა. ასათიანი—29 თ. და 25 შ., ვ. ი. ბეჟანეიშვილი—34 თ. და 19 შ., კ. მ. რიქამაძე—28 თ. და 25 შ., დ. ნ. ლორია—28 თ. და 25 შ.; ს. გ. კლდიაშვილი—37 თ. და 15 შ.; ა. პ. ქურციკიძე—33 თ. და 21 შ.; გ. ა. იოსელიანი—34 თ. და 19 შ.; მ. გ. კორძაია—29 თ. და 25 შ.; ი. პ. გოგოლაშვილი—29 თ. და 25 შ.; გ. რ. ტატიშვილი—34 თ. და 20 შ.; კ. ზ. აბაშიძე—39 თ. და 14 შ.; დ. გ. ალავიძე—33 თ. და 20 შ.; ს. ნ. დათეშიძე—35 თ. და 18 შ.; თავ. დ. ს. მიქელაძე—27 თ. და 26 შ.; ნ. ს. ბარაბაძე—27 თ. 26 და შ.; ვ. ტ. ჟორჟოლაძე—27 თ. და 26 შ.; ვ. ჯ. წერეთელი—29 თ. და 25 შ.; კ. დ. მდივანი—30 თ. და 20 შ.; ს. დ. გოგიჩაძე—36 თ. და 18 შ., ე. მ. გაბუნია—29 თ. და 24 შ.; ი. პ. კოკოჩაშვილი—28 თ. და 26 შ.; თ. გ. ჩხეიძე—30 თ. და 25 შ.; კ. ა. მარჯანიშვილი—31 თ. და 2[illegible] შ.; [illegible] მიქაბერიძე—35 თ. და 18 შ.; ი. მ. ახვლედიანი—30 თ. და 23 შ; ვ. ზ. ჩაჩიბაია—31 თ. და 24 შ; ი. ქ. ლორთქიფანიძე—34 თ. და 20 შ. ლ. მ. ლორთქიფანიძე—29 და 25 შ.; ქ. დ ლორთქიფანიძე—28 თ. და 25 შ.; გ. დ. აბაშიძე—30 თ. და 23 შ; სულ არჩეულ იქმნა 31 კაცი. ასარჩევი დარჩა კიდევ 4 რწმუნებული და 5 კანდიდატი. დგამენ 18 ყუთს. ხელმეორედ უყრიან კენჭს გაშავებულებს. რწმუნებულებად აირჩიეს: კ. ს ქვარიანი—23 თ. და 7 შ; ი. დ. წულუკიძე—2[illegible] თ. და 10 შ.; გ. ა. მდივანი—19 თ. და 11 შ.; ქ. გ. გუნცაძე—19 თ. და 12 შ.; კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: ი. გამრეკელიძე—18 და 12 შ.; ვ. გ. გოცირიძე—18 თ. და 13 შ.; ნ. ბ. უზნაძე—18 თ. და 13 შ., და გ. მ. ჩიჯავაძე—16 თ. და 15 შ. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ შენ-ჩემობიამ და პარტიობამ ამ უბრალო არჩევნებზედაც იჩინა თავი და ბევრი ყოვლად ღირსეული პირი გაშავეს, მათ ნაცვლად კი ყოვლად უღირსნი აირჩიეს.

წერილი რედაქციის მიმართ

(პასუხად)

I

თქვენს გაზეთში „სიტყვამ“ დასტამბა ჩემს მოქმედების შესახებ შეუსაბამო წერილი. ბ-ნი „სიტყვა“ ჩემს მტრებს მოუღორებიათ იმათ, რომ ყალბი ანგარიში (Отчетъ) მიუწოდებიათ, რომელში გამოთქმული აზრები მე კი არ მეკუთვნიან, არამედ ვიღაცებს ძალად უკუთვნებიათ ჩემთვის...

საქმის გარემოება ასე გახლდათ: შარშან ხელ-ნაწერი ანგარიში წარვუდგინე საეპარქიო რჩევას, რომელმაც გადასწყვიტა მისი დაბეჭდვა. მე არ მეცალა და ამიტომ ბეჭდვა სხვებს მიანდეს. მე კი სოფლად უფრის დროს, აკარაკად მცხოვრებს სოფელ ბერმეეშა, მომივიდა დაბეჭდილი „Отчетъ“-ი, წავიკითხე და გავშტერდი! თურმე ჩემთვის ძალად უთქმევინებიათ იმისთანა აზრები, რომელიც მე არას დროს არ მითქვამს, და, რასაკვირველია, არც ჩემს ხელნაწერ ანგარიშში იყო. მაშინვე, აშფოთებულმა, ოფიციალური „პროტესტი“ შევიტანე რჩევაში: გთხოვე, ის დაბეჭდილი წიგნაკები ყველა დასტუსაღეთ, ბეჭედი დაადევით, ერთი ცალიც არავის მისცეთ, სანამ მე თვითონ ჩამოვიდოდე და დამახინჯებულ ადგილს დედნის მიხედვით არ გავასწორებდე-მეთქი. მალე მეც ჩამოვედი ფოთში, რჩევას პირადადაც მოვახსენე გარემოება, ჩემი ოფიციალური „პროტესტი“-ც მოისმინეს; მაშინ საეპარქიო რჩევამ დაადგინა ჟურნალით, გასწორებულიყო დამახინჯებული ადგილები დედნით... ჟურნალის არქიელის მიერ დამტკიცების შემდეგ იმ წიგნაკში დამახინჯებული ადგილები შესწორებულ და გასწორებულ იქმნა, არც ერთი სიტყვა არ მიმიმატებია, რაც დედანში არ იყო, არაფერი შემიცვლია: გასწორებული ნამდვილი ანგარიში ეს არის, რომელიც ამასთან მოგართვით და არა ის, რომელიც ჩემმა მტრებმა მანქანებით რედაქციისათვის ქურდულად მიუწოდებიათ. ქურდულად-მეთქი, ამას იმიტომ ვამბობ, რომ რჩევის დადგენილების ძალით ის წინანდელი ანგარიში ყალბად იქმნა ცნობილი და დატუსაღებულად, ამიტომ ცხადდება მისი გავრცელება ნამუსიანად არავის უნდა ეკადრებინა, მაგრამ ჩემმა მტრებმა ეს უკადრისი იკადრეს და რედაქცია შეცდომაში შეიყვანეს. ჩემს ენას რომ არასდროს არ გაუცხადებია მეგრულ ენის არა-ქართულ-ენობა (ეს პირველად პროფესორმა ცაგარელმა გამოსთქვა და სხვებმა გაიმეორეს), წინააღმდეგ: მე რომ ცხადის და სასტიკის ბრძოლით ოფიციალურად სამჯერ გამოვილაშქრე თვით ჩემის პირდაპირის მთავრობის წინააღმდეგ (ორჯელ მარტო მე, ხოლო მესამედ კომისიაში), ეს ყველამ იცის და ამისი საბუთები არქივებში იპოვება. დანარჩენი ამ ანგარიშმა სთქვას და იმ ორიოდ სიტყვამ, რომელიც ზედ დავაწერე იმ ანგარიშზე, რომელიც გთხოვთ შეუცვლელად დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში. კვლავაც მზად ვარ ყოველი ეჭვი გავფანტო და ყველას ნებას ვაძლევ რაც ეჭვი ჰქონდეთ, პასუხი მომთხოვონ.

16 თებ. 1905 წ.
ქუთაისი.

თ. ჟორდანია.

—

რედაქციისაგან. როდესაც ჩვენი თანამშრომელი ბ-ნ ჟორდანიას შესახებ წერილს სწერდა, ხელთა ჰქონდა დაბეჭდილი ანგარიში, რომელიც ვერავითარ ეჭვს ვერ აღუძრავდა. ეხლა ბ-ნი ჟორდანია იუწყება, რომ ის ანგარიში ყალბი იყო, პროტესტი განვაცხადე და ახალი ანგარიში დავაბეჭდვინეო. ყველა ეს მეტად უცნაური და გაუგებარია. ამასთან რედაქციას ბ-ნ ჟორდანიას თავის გასამართლებლად საკმაოდ არ მიაჩნია შესწორებულ ანგარიშის გამოგზავნა. სიმართლის გამოსარკვევად საჭიროა ნახვა ბ-ნ ჟორდანიას ხელთნაწერ ანგარიშისა, რომელიც მან მთავრობას წარუდგინა და ის პროტესტი, რომელიც ყალბ ანგარიშის გამო განუცხადებია.

II

ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეთა მომეტებული ნაწილი ღარიბია. ბევრს მათგანს არა აქვს ტანთსაცმელი, ფეხსაცმელი და ხშირად საჭმელიც კი. სკოლასთან არსებულ ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელმა კომისიამ წრეულს 230 ბავშვს თბილი ტანისამოსი შეუკერა და ღვინობისთვეში გამართა სკო

და სასულიერო წოდებას უნდა გაეწეროს ხარჯი, რადგან ხალხი ისე გაღატაკებულია, რომ ახალ გადასახადს ვეღარ გადაიხდისო. როგორც იქნა, მეფე დასთანხმდა და სთანხმდნენ ამ ღონისძიებას, მაგრამ ვერას გზით ვერ განახორციელეს იგი, რადგან მთელი თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდება შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევდნენ. მინისტრები იცვლებოდნენ და მდგომარეობა კი ისევ ძველი იყო. რაც დრო მიდიოდა, საზოგადოება და ხალხი უფრო და უფრო უკმაყოფილო იყო; ეს უკმაყოფილება საჯაროდ [illegible]. მთავრობა უღონო იყო, რადგან მხოლოდ ფულის შოვნაზე ჰფიქრობდა და საჭირო ღონისძიებისათვის ვერ მიეგნო. ბოლოს მთავრობამ ისევ ნეკკერი მოიწვია, მით უფრო რომ ამით ჰფიქრობდა აღელვებულ საზოგადოებრივ აზრის დამშვიდებას: ნეკკერი საზოგადოებისა და ხალხის საყვარელი პირი შეიქნა მას შემდეგ, რაც ხსენებული ანგარიში გამოაქვეყნა და ამისათვის გადაყენეს.

ნეკკერმა იმდენი მოახერხა, რომ ფული იშოვა და მიმდინარე უსაჭიროესი ხარჯები დაჰფარა. მაგრამ ეს ხომ საქმის გასწორება არ იყო; ამას სხვაგვარი ღონისძიება სჭირდებოდა, ის ღონისძიება, რომელსაც დიდი ხანია თხოულობდა საფრანგეთის საზოგადოების შეგნებული ნაწილი: ხალხის წარმომადგენლები მოიწვიოს მთავრობამ სახელმწიფო საქმეების გამოსარკვევლად, სხვა გზა არ არისო, ამტკიცებდნენ ეს შეგნებული პირები.

მთავრობას ძალიან არ უნდოდა ამ წარმომადგენლების მოწვევა, მაგრამ რაკი სხვაფრივ ვერას გაეწყო-რა, ისევ ამ ღონისძიებისათვის უნდა მიემართნათ; მით უფრო რომ იმედი ჰქონდათ საქმეს თავიანთი სურვილისამებრ გაძღოლოდნენ: შეიკრიბებიან ხალხის წარმომადგენლები, ითათბირებენ, საჭირო ფულის წყაროს გვიჩვენებენ და ისევ სახლში წავლენო. ძველი საფრანგეთი უკანასკნელის ნაპირას იდგა, ახლოვდებოდა საშინელი ქარიშხალი გაჭირვებისაგან გაბოროტებულ ხალხისა და მთავრობა კი ვერაფერს ხედავდა: იმის მაგიერ, რომ დროით შემოეღოთ საჭირო ცვლილებანი, გაბედულად დასდგომოდა ხალხის საჭიროებათა შესწავლასა და დაკმაყოფილებას, მხოლოდ ფულის შოვნაზე ჰფიქრობდა; იმ დროსაც კი, როცა გადაწყდა ხალხის წარმომადგენლების მოწვევა, სასახლე იმ იმედით იყო, რომ ეს მრავალ-ტანჯული ხალხი ფულებს ჩაუჩხრიალებდა ჯიბეში და მორჩილებით დაუბრუნდებოდა თავის გაჭირვებულ ცხოვრებას.

უკანასკნელ დრომდე ხალხი და ინტელიგენცია კი არ ყოფილა მეფობისა და მეფის წინააღმდეგი; პირიქით, იმ დროს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინათ უმეფოდ ისეთი დიდი სახელმწიფო, როგორც საფრანგეთი იყო. ხალხში ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მეფისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. და როცა მთავრობამ 1789 წლის 27 აპრილს გამოაცხადა ხალხის წარმომადგენლების მოწვევა, ლუი მეთექსმეტე სადმერთებელი პირი შეიქნა მთელის საფრანგეთისათვის: ხალხი დარწმუნებული იყო, რომ „კეთილი მეფე იწვევს თავის ერთგულ ქვეშევრდომებს სახელმწიფო საქმეებზე სათათბიროდ და, პირველად ყოვლისა, თვითონ“ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ლუი მეთექსმეტე რომ ხალხის სურვილს აჰყოლოდა, გაუმართლდებოდა მისი მოლოდინი და თავის ნებით შემოეღო იმ დროის საფრანგეთისათვის საჭირო ცვლილებანი, ხალხის სიყვარულიც ბოლომდე შერჩებოდა: რევოლუცია, ძველის წესის ახალზე შეცვლა მშვიდობიანი და წესიერი იქნებოდა, მაგრამ საფრანგეთის უკანასკნელ მეფეს და მის ახლობლებს სრულიად არ ჰქონდათ წარმოდგენა საქმის ნამდვილ მდგომარეობაზე და, თუ დასთანხმდნენ ისეთ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაზე, როგორც ხალხის წარმომადგენლების მოწვევაა, იმიტომ კი არა, რომ მართლა განზრახვა ჰქონდათ საჭირო რეფორმების შემოღებისა; სრულიადაც არა: აუცილებლობას დაუთმეს, რომ საჭირო ფული ეშოვათ. გაუბედავი, ბავშვივით სუსტი და შორს ვერ გამჭვრეტი ლუი მეთექსმეტე დღეს რომ მინისტრის გონიერ რჩევას მიიღებდა, ხვალ სულ წინააღმდეგ ღონისძიებას მიჰმართავდა; დედოფალი, პრინცები და კარისკაცები მუდამ მასთან იყვნენ და, რაც არ უნდა განეზრახა რომელიმე მინისტრს, თუნდა მეფეც თანახმა ყოფილიყო მისი, ყველაფერი ისე დატრიალდებოდა, როგორც დედოფალსა და სასახლეს უნდოდა.

ლუი მეთექსმეტემ ვითომ აასრულა საზოგადოებრივ აზრის მოთხოვნა—მიიწვია ხალხის წარმომადგენლები, მაგრამ მასაც და სასახლესაც ხალხის მოტყუება უნდოდა ამ ღონისძიებით. ხალხიც პირველ ხანებში დიდის ნდობით ეპყრობოდა მეფეს, მაგრამ როცა დაინახა, რომ ყინულზე გატყუებას უპირებდნენ, თავის საკუთარი ღონისძიება გამონახა, და, როგორც შემდეგში დავინახავთ, რევოლუციას მიჰმართა: ერთბაშად დაღეწა მთელი ძველი წეს-წყობილება და მის ნანგრევებ ქვეშ მოაყოლა ძველ საფრანგეთის უკანასკნელი მეფეც.

გომში სასადილო, სადაც 70 უღარიბეს მოწაფეთ ეძლევა უფასოთ ერთი თავი საჭმელი.

სამწუხაროდ, გაჭირვებულთა რიცხვი 70-ზე გაცილებით მეტია, კომისიას კი შეძლება არ აქვს ყველას მიაწოდოს ლუკმა პური. ამიტომ კომისია უმორჩილესად სთხოვს გულ-შემატკივართ დაეხმარონ ამ კეთილ საქმეში ფულით ან ხორაგეულობით.

შემოწირულება მიიღება კომისიის თავმჯდომარესთან, ჯ. მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურიან-ორბელიანისასთან (ნიკოლოზის ქუჩა, საკ. სახლი) და სკოლის სადგომში (მეტრე დიდის ქუჩა) სკოლის გამგესთან, აგრეთვე ტფილისის, თელავის, სიღნაღის, გორის, დუშეთის და ბორჩალოს მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლებთან.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი კომისია.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
21 თებერვალი.

ოკუს მთავარი სადგომი, 18 თებერვალი. იაპონელებმა დაიჭირეს რუსების მარჯვენა ფრთაზე სიმაგრეების მეორე რიგი; ამას გარდა მიაღწიეს ხუნხეს დასავლეთ ნაპირას, ჩჟანტანის დასავლეთით.

კუროკის არმია, („რეიტერი“), 17 თებერვალი. იაპონელებმა გაილაშქრეს ვაიტაშანიდან შახეს გაღმა. დიდძალი რაზმი გადავიდა ვაკეებზე, წავიდა დასავლეთით და მივიდა რუსების ტრანშეების პირველ რიგამდე. რუსები შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდნენ ტრანშეების მეორე რიგზე; იაპონელები საშინლად ესროდნენ. რუსებს კიდევ უჭირავთ სიმაგრეების უმთავრესი რიგი, რკინის გზის აღმოსავლეთით, შახეს გასწვრივ. ერთი, ყველაზე მაგარი პოზიცია, რუსებს აქვთ ვაიტოშანის გორაზე და ამ გორის აღმოსავლეთით, გორაკებზე. ამ სიმაგრეებს იაპონელები მძიმე ზარბაზნებს ესვრიან. კუროპატკინს შეეშინდა, მტერმა არ შემომიაროსო და შეაგროვა დიდძალი ჯარი მარცხენა ფრთაზე. იაპონელებმა გაიმარჯვეს მე-16 კორპუსის ორი დივიზიაზე, ხუნხეს ახლოს. საშინელი სისხლის ღვრა იყო, იაპონელებს ბევრი საომარი იარაღი დარჩა.

[illegible]ნკონგი, 10 თებერვალი. („დეილ. [illegible]გ.“). გერმანიის გემმა „ნიუბიამ“ ალ[illegible]ნა ჰონკონგიდან ასი მილის მანძილ[illegible]სამხრეთ-აღმოსავლეთით, იაპონელების [illegible]ესკადრა, ერთი 9 სამხედრო, მეორე [illegible]ბრალო გემიანი.

[illegible]კიო, 20 თებერვალი. გვაცნობებენ, [illegible]ჩინეთმა პროტესტი გამოუცხადა ია[illegible]ს, ნეიტრალიტეტი დაარღვიე იმით, რომ სინმინტინს დასთარეშობდიო. აქ ჰფიქრობენ, რომ მთავრობა ამის შესახებ ეტყვის: აქ პრეცედენტი რუსეთმა შექმნა, რის გამოც იაპონელების ომიანობის დროის ზომები ამ შემთხვევაში ბუნებრივია, გამოწვეული იაპონიის ინტერესების დაცვის აუცილ[illegible]თო.

მუკდენი, 21 თებერვალი, დილის 4 საათი, 45 წამი. იაპონელები დღეს სხვა და სხვა ადგილას ჩვენ ფრონტზე იერიშის მოტანას განაგრძობენ, მაგრამ ყველგან მოვიგერიეთ. ყველაზე მედგარი ბრძოლა დილით მარჯვენა ფრთაზე სოფელ მადიაპუსა და ნიუსინტუნს შუა მოხდა. შემდეგ იაპონელები საღამომდე ზარბაზანს ისროდნენ სალინპუს მხრიდან. იაპონელთა ყუმბარები ლუგუატუნამდე უწევდნენ. საღამოს 7 საათამდე იაპონელებს მედგარი იერიში მოჰქონდათ ელტხაიზაზე, მადიაპუს სამხრეთით, ხუნხეს მარცხენა ნაპირას. ცენტრში იაპონელებმა სახეპუს დასავლეთით მიიტანეს იერიში. ჩვენებმა კონტრ-იერიში მოიტანეს პუტილოვის გორის აღმოსავლეთით და 100 ტყვე დაიჭირეს. მარცხენა ფრთაზე იაპონელები იერიშის მოტანას განაგრძობდნენ ჩვენს პოზიციებზე კანდოლისანის მიდამოებში და რენენკამფის რაზმზე. გოუტულინის უღელტეხილის წინააღმდეგ იერიშით მომავალმა მტერმა სამხრეთისაკენ დაიწია. თუმცა ცივი ამინდია, 11 თებერვალს განაპირა მარცხენა ფრთაზე დაწყებული ბრძოლა მაინც მთელს ფრონტს მოედვა 120 ვერსტის სიგძეზედ მუკდენამდე და თან და თან უფრო მწვავდება. იაპონელებს დიდი ზარალი მოსდით. ჩვენ 15 ათას კაცამდე დაგვიჭრეს.

ნიუ-ჩუანი, 19 თებერვალი. („რეიტერი“. 18 თებერვალს იაპონელთა მზვერავი რაზმები ლიაოპიენს ახლო შეეტაკნენ რუსის მოწინავე რაზმებს, რომლებიც მუკდენთან დააყენეს, რადგან მუკდენს საფრთხე ემუქროდა. იაპონელებმა რუსებს 30 ზარბაზნიდან შრაპნელი დაუშინეს. რუსებმა ტელინისაკენ დაიხიეს. იუწყებიან, რუსებმა სადგური და საკვები სურსათი დასწვეს მუკდენშიო. უკან დახევისათვის მზადებას განაგრძობენ.

ტოკიო, 20 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ“-ი. ვეიკაის აღების შემდეგ, იაპონელები ჩრდილოეთისაკენ გაემართნენ, რამდენჯერმე იერიში მიიტანეს რუსებზე და გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოვიდნენ. იუწყებიან, 10 ათასი რუსი ლიაოტეპში იმყოფება, სინგინტინიდან 25 მილის მანძილზე სამხრეთითაო.—იაპონიის ესკადრა ინდოეთის ოკეანეში დადის.—იაპონიის მთავრობამ ნოტა წარუდგინა რუსეთს იმის შესახებ, რომ ჩინელი სალდათები დახმარებას უწევდნენ რუსებს ლიაოხეს დასავლეთითაო.

პეტერბურგი, 21 თებერვალი. გენერალ-ადიუტანტ კურპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა 20 თებერვალს; „მუკდენის დასავლეთით ფრონტზე ღამემ წყნარად ჩაიარა ამ ფრონტის მარცხერა ფრთაზე ხუნხეს მარჯვენა ნაპირას, სოფ. მადიაპუს წინ, იაპონელებმა დღეს გამწვავებული იერიში მოიტანეს, მაგრამ ორივე იერიში მოვიგერიეთ. 6 ვერსტის სიგრძეზე განაგრძობდნენ ბრძოლას. მადიაპუს ჩრდილოეთით ბრძოლა კარგად მიდის. ყველანი მხნედ არიან. ცენტრმა თავისი პოზიციები შეინარჩუნა მდ. შახეზე სახეპუმდე. ნოვგოროდის და პუტილოვის გორებზე იაპონელებმა ღამით იერიში მოიტანეს, მაგრამ ეს იერიში მოვიგერიეთ. დილით ჩვენ ერთ ადგილას კონტრ-იერიში მივიტანეთ და ორი ტყვიის მტყორცნელი ჩავიგდეთ ხელში. ერდაგოუს მიდამოებში მდებარე პოზიციებს მტერი მხოლოდ ზარბაზანს უშენს. კანდოლისანის მიდამოებში იაპონელებმა გუშინ საღამოს 9 საათზე დაიწყეს იერიშის მოტანა, მდ. შახეს ნაპირს სამთო ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები დადგეს და მთელ ღამეს განაგრძობდნენ იერიშის მოტანას. დილამდე ყველა იერიში მოვიგერიეთ. გუშინ საღამოს 11 საათზე მტერმა გოუტულინის პოზიციის მთელ ფრონტზე მოიტანა იერიში. პირველ საათის ნახევარზე იერიში მოვიგერიეთ. განაპირა მარცხენა ფრთის რაზმებმა ღამე წყნარად გაატარეს“.

სევასტოპოლი. შტურმანმა იაკუბოვსკიმ ორჯერ ესროლა რევოლვერი სევასტოპოლის საზოგადოების საურთიერთო კრედიტის დირექტორს კნიაზევს, ააცდინა და თვითონ მოიკლა თავი. იაკუბოვსკი ხსენებული საზოგადოების გამგეობის დადგენილებით დათხოვნილი ყოფილა ბუხგალტრის თანაშემწის თანამდებობიდან.

ხარკოვი. ნოქართა კრებამ, სადაც ათასამდე აცი იყო, გადასწყვიტა იშუამდგომლოს შეამცირონ სამუშაო დრო, გააკეთონ სავადმყოფო ნოქრებისთვის და შაგირდებს აკმარონ 3 წლის სწავლა. სამასი ვაჭარი თანახმაა შეამციროს სამუშაო დრო.

ბელოსტოკი. ნოქართა საზოგადოების საერთო კრებაზე გადასწ[illegible] ხელი ნოქართა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

ნეჟინი. სასანიტარო საბჭომ ამოირჩია კომისია მოსალოდნელ ხოლერასთან საბრძოლველი ზომების შესამუშავებლად.

ხარკოვი. ხარკოვის ყველა ფირმათა ნოქრების კრებამ, რომელიც გუბერნატორის ნებართვით გაიმართა, საჭიროდ სცნო მთლად დაისვენონ კვირა-უქმე დღეებში და დააწესონ 12 საათი სამუშაო დრო.

ეკატერინბურგი. სამხრეთ-კამის ქარხნის მუშებმა შეუკვეთეს ერთის ქვის მჭრელ სახელოსნოში მეფე-განმანთავისუფლებლის ძეგლი.

ბათუმი. სომხის ეკლესიაში პანაშვიდი იყო ბაქოში დახოცილთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი რომ გათავდა ქუჩაში და გალავანში შეკრებილ ხალხში ალიაქოთი ასტყდა; ალიაქოთს რევოლვერების სროლა მოყვა. ყველას შიშის ზარი დაეცა. გამოიწვიეს ჯარი და გაამწკრივეს ქუჩაში.

სევასტოპოლი. შავი ზღვის ფლოტის მთავარმა კომანდირმა ადმირალ ჩუხნინმა გამოაქვეყნა ბრძანება, სადაც ნათქვამია: „ამ უკანასკნელს წლებში შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებში გავრცელდა დამღუპავი ქადაგება. სამშობლოს მტრებმა გადასწყვიტეს შეარყიონ ძალა და საფუძველი სახელმწიფოსი—სამხედრო ძალა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ განაძევებთ თქვენის წრიდამ ბოროტს და მავნე მიმართულებას გონება დაბნეულ პირებისას-

ლონდონი. ოფიციალური ცნობები. საადმირალოს პირველი ლორდის სელბორნის ადგილას დაინიშნა ლორდი აუდორი.

კიშინევი. ტრაქტირ „ორდაგან“-ში ხულიგნები წალაპარაკდნენ, ერთმა იმათგანმა გაისროლა. მოარბინა პოლიციამ და დაიჭირა დამნაშავენი. დაჭერილებს დანები და რევოლვერები აღმოაჩნდათ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
21 თებერვალი.

ტოკიო. ოფიციალურ მოხსენების თანახმად, იაპონელები სდევნიან რუსებს საინცზინის მიდამოებში; ეს ადგილი ფუშანიდან 15 მილის მანძილზე მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთით. რუსებმა ღამით ოთხჯერ მოიტანეს იერიში გადოცზიაპუდზისა და ტანჩქუანს ახლო, მაგრამ იაპონელები ყველა იერიში მოიგერიეს. იაპონელებმა რკინის გზის დასავლეთით მედგარ იერიშის მიტანას განაგრძობდნენ და ვუჩაინი, ლინშინპუ და საიეპუ აიღეს. იაპონელთა მარჯვენა ფრთამ მდ. ხუნხეზე რუსები ჩრდილოეთისაკენ განდევნა. იაპონელები განუწყვეტლივ განაგრძობენ იერიშის მიტანას რუსის სიმაგრეებზე ჩჟანტანიდან სიაოციანტაიამდე და მუკდენს რკალივით ერტყმიან გარშემო. იაპონელთა ჯარი ამ ჟამად 15 მილის მანძილზე დგას მუკდენიდან. რუსის ჯარს დიდი ზარალი მოუვიდა და დიდძალი სამხედრო სურსათი დაეკარგა.

ტოკიო, 18 თებერვალი. იაპონიის მთავრობამ კურესა და იოკუსუკაში დოკები გაადიდა. ინგლისელი ინჟენერი ხელმძღვანელობას უწყვს იოკოსუკას დოკში მუშაობას.

ტოკიო, 19 თებერვალი. იაპონიის ესკადრა მტრის დასაზვერად წავიდა ინდოეთის ოკეანეში.—იაპონელთა რაზმმა განაპირა მარჯვენა ფრთაზე წინ გაილაშქრა, რუსის პოზიციები ცინხეჩენს ახლო აიღო, მადზიადანისაკენ გაემართა და რუსებს მადზიადან-მუკდენის გზის მოჭრას დაემუქრა.—გაზ. „ასახი“-ს კორესპონდენტი იუწყება ცზიანჩანიდან, რომ იაპონიის განაპირა მარჯვენა ფრთა შახეზე მყოფ არმიას შეუერთდებაო. უნდა ველოდეთ, რომ იაპონიის არმიები ერთმანეთთან შეთანხმებით გაილაშქრებენ წინა.—იაპონელების ანგარიშით, გენ. კუროპატკინს ერთი-ორად მეტი ჯარი ჰყავს, ვიდრე აქ მყოფი ევროპიელები ანგარიშობენ. იაპონელთა მოხსენების თანახმად, რუსებს 339,600 ქვეითა ჯარის-კაცი და 35,340 არტილერისტი ჰყავთ. სულ რუსებს, გზების დამცველი ჯარიც რომ ვიანგარიშოთ, 700 ათასი კაცი და 100 ათასი ცხენი ჰყავთ.—მდ. ხუნხეზე ყინული მთლად გალხვა.—20 თებერვალს სეიკახუს აღების შემდეგ, იაპონიის მარჯვენა არმიის ძლიერი რაზმი ჩრდილოეთისაკენ გაემართა. მეტად გამწვავებული ბრძოლა მოხდა. იაპონელებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში. გულადად იბრძოდნენ, მაგრამ დიდი ზარალი მოუვიდათ. პოლკოვნიკი ხიმადა მოჰკლეს, პოლკოვნიკი კავაზი სუმბუქად დასჭრეს. რუსებმა, რიცხვით 30 ათასამდე კაცმა, უკან დაიხიეს. იაპონელები თავიანთ რაზმებს შეუერთდნენ.—200 ტყვე რუსი ოსაკაში გაქცევას აპირობდა, მაგრამ იაპონელებმა ეს განზრახვა წინადვე შეიტყვეს. რუსების მეთაური ფელდფებელი იყო.

ტანჟერი. რუსეთის სატრანსპორტო გემი „კურონია“ სხვა ქვა-ნახშირის მზიდავ გემებით მოვიდა აქა და აღმოსავლეთისაკენ გაემართა.—ამბობენ, რუსეთის მესამე ესკადრამ გუშინ საღამოს ტანჟერის წინ გაიარაო.

ლონდონი, 20 თებერვალი. იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ ოფიციალურ დეპეშაში სწერია: იაპონელებმა რუსების სიმაგრეები დაიჭირეს ჩანტანიდან ჩიგუანტაიამდე და რუსებს სდევნიანო. იაპონელთა ჯარს ამ ჟამად უჭირავს მადიაპუ—მუკდენიდან 15 მილის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით, დაძიაპუ—მუკდენიდან 13 მილის მანძილზე დასავლეთით და ლამუხუ—დაძიაპუდან 3 მილზე ჩრდილოეთით.

სინმინტინი, 18 თებერვალი. იაპონელთა უმთავრესი ჯარი ჯერ არ შემოსულა. ჩინელები ქალაქში დამალულ რუსებს დაეძებენ. იაპონელები, ეტყობა, მაშველ ჯარის მოსვლას ელიან. იუწყებიან, ლიაოხეზე 30 ათასამდე რუსი დგას. ჰფიქრობენ, მოკლე ხანში დიდი ბრძოლა მოხდებაო.

შანხაი, 18 თებერვალი. იაპონიიდან სარწმუნოდ იუწყებიან, იაპონელები ყოველნაირად ეცადნენ, რომ პორტ არტურიდან საალყე ზარბაზნები მოეტანათ მარშალ ოიამას არმიისათვის. ეხლა პოზიციებზე 100 საალყე ზარბაზანი უდგათ რუსის ცენტრის შესაყენებლად; გენ. ნოძუ და კუროკი ამ დროს ეცდებიან, რუსის მარცხენა ფრთას გვერდიდან შემოუარონ. ეს ბრძოლა ისეთი საარტილერიო ბრძოლა იქნება, როგორიც ჯერ არას დროს არ მომხდარა.—ლიაოიანის გამაგრება დაასრულეს.—იაპონელები 500 ათასამდე კაცის გაგზავნას აპირებენ საბრძოლველად. იაპონიიდან ყოველ ღამ ახალ ჯარს ჰგზავნიან მანჯურიაში. ყველგან სათადარიგო ჯარის კაცები მოდიან ყოველდღე და სამხედრო საქმეში ვარჯიშობენ.—ჩრდილოეთ კორეის განაპირას კიდევ 10 ათასი რუსი იმყოფება. იაპონელები მეხუთე არმიას აარსებენ 8 დივიზიისაგან, 140 ათას კაცამდე. 3 დივიზია უკვე გადაიყვანეს ჩრდილოეთ დასავლეთ კორეიაში; ამ ჯარის ნაწილი ვლადივასტოკისაკენ გაემართება. მეორე ნაწილი-კი ეცდება, მანჯურიაში რუსის არმიის მარცხენა ფრთას გვერდიდან მოუაროს, სარეზერვო არმია, სათადარიგო ჯარის კაცებისაგან შედგენილი, იაპონიის დასაცველად დასტოვეს. ხაკოდატეში ორი ჯავშნიანი და ორი პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი დგას და 16 კონტრ-ნაღმიანი გემი და მაშველი კრეისერი.

განკოვგი („ნიპონ-მარუ“). კუნძულ ფორმოზაზე დიდი საწყობები გამართეს ქვანახშირისა. იქაურ პორტში ნაღმები ჩააწყეს. გემმა „მინიზოტამ“-მ იაპონიაში ლოკომოტივები და სხვა რკინის გზის მასალა მოიტანა კორეისათვის—იაპონიიდან 60 კრუპის საალყე ზარბაზანი გაგზავნეს მდ. შახეზე.—ჩინეთის მთავრობამ ორ მილიონ ტაელის ზარბაზნები, თოფები და სამხედრო სურსათი შეუკვეთა ერთს უცხოელ ფირმას.

ტოკიო. მთავრობამ ღონისძიება მიიღო რომ ოქრო იაპონიაში დარჩეს.—ბენსიხუს მხარეს იაპონელებმა რუსები იმათ უმთავრეს სიმაგრეებისაკენ განდევნეს.

კიევი, 20 თებერვალი. გუშინ კიევის სამხრეთ-დასავლეთის გზების მთავარ სახელოსნოების მუშებმა და ხელოსნებმა გადაიხადეს პანაშვიდი მეფე-განმანთავისუფლებლის სულის მოსახსენებლად. დღეს შეიკრიბნენ მუშები და ხელოსნები თავიანთ ოჯახობით და გადაიხადეს პარაკლისი ხელმწიფე-იმპერატორის და უავგუსტოესი ოჯახის საკეთილდღეოდ და სადღეგრძელოდ, აგრეთვე სამშობლოს გარეშე და შინაგან მტრებზე გასამარჯვებლათ. ხელოსნებმა მიჰმართეს უფროსებს და სთხოვეს წარუდგინონ ხელმწიფე-იმპერატორისა და ხელმწიფა-იმპერატრიცას ფერხთა წინაშე მათი ერთგული ქვეშევრდომული გრძნობანი. ქალაქში სიმშვიდეა. მიღებული ზომების წყალობით სამაგალითო წესრიგია.

ჰელსინგფორსი. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს წარუდგა აბო-ბიეორნეორგის გუბერნიის ფინების სხვა-და-სხვა წრეებისაგან დეპუტაცია. დეპუტაციამ უთხრა, რომ იგი უერთდება ერობათა უქვეშევრდომილეს პეტიციებს და განაცხადა წრფელი სურვილი მთელის ფინლიანდიის ხალხისა, რომ პეტიცია ღირსი გახდეს უმოწყალესის მოწონებისა, რადგანაც მისი აზრით, ეს არის ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დააწყნაროს უკმაყოფილონი. უმთავრესი მწვავე საკითხი, დეპუტაციის აზრით, ეს სამხედრო ბეგრის საკითხია ფინლიანდიაში. გენ. გუბერნატორმა უპასუხა, რომ საწყენი ამბები, რომელნიც თანამედროვე ცხოვრებას ბნელით მოსავენ დააყოვნებენ დეპუტაციისაგან გამოთქმული სურვილების განხორციელებასო. შეგიძლიან დარწმუნდეთ, რომ ამ უკანასკნელ დროს საზოგადოებრივი სიწყნარის დამრღვევი ამბები რომ არ მომხდარიყო, ამბები, რომელსაც ჰკიცხავს ყოველი საღი ელემენტი მცხოვრებლებისა, ბევრს თქვენთვის სასურველს საქმეს მიაღწევდითო“. დეპუტაციისგან ჩამოგდებულ კითხვაზე სამხედრო ბეგრის შესახებ, გენ.-გუბერნატორმა უპასუხა, რომ რუსთა და ფინთა საზოგადო მოღვაწეებისაგან შემდგარი კომისია განიხილავს ამ კითხვას, რადგანაც განზრახვაა იმ გვარ კალაპოტში ჩადგეს სამხედრო ბეგრის საქმე ფინლიანდიაში, რაც აქაური ცხოვრების წყობილებას შეესაბამება. მომავალი სეიმისთვის 1906 წ., ადვილი შესაძლებელია, თქვენთვის სასურველად გარდაწყდეს სამხედრო ბეგრის საქმეო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი.

№ 4711
CAPTOL
„კაპტოლი“
საუკეთესო წყალი
თმებისათვის

კარგია თავის კანის გასაწმენდათ, გასაგრილებლად და ნერვების გასაცოცხლებლად. განსაკუთრებით კარგია თავის კანის ქერტლისა და იმისაგან წარმომდგარ უსუფთაობის წინააღმდეგ. თმას ამაგრებს და დაცვივნას უშლის; მომზადებულია ელბერფელდელ ექიმის ი. ეიხჰოფის სისტემით. „კაპტოლი“ არ არის საიდუმლო წამალი.

ერთად ერთი ფაბრიკანტი
ფერდ. მიულგენსი
კელნი და რიგა.
მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და-სხვა მასალის დამმზადებელი.
(6—მც.—4)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში.
(25—16)

СѢДЕЛЬН, СПЕЦІЯЛЬН.
Т.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ.—176—105

პირველი საწყობი შეშისა
ცუდად დაწყობილი ბ. ი. კურცხალიასი კარგად დაწყობილი
ანდრეევის ქუჩა დამოენის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეში საჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
90—5) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

КАКАО
ВАНЪ-ГУТЕНА
Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія).

Доз. цен. Тифлисъ, 21 февраль 1905 г.
Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ.